დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის
სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

1. ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ელისო შურღაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
3. მედიკო ჯიქია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. თამარი დეკანოსიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,);
7. მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
9. ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ალექსანდრე ღიღუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 229728658

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ შუაგორა
იურიდიული მისამართი	ვანი, სოფ. შუაგორა
ფაქტობრივი მისამართი	ვანი, სოფ. შუაგორა
საფოსტო ინდექსი	1900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	shuagora@mes.gov.ge.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595908533

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანება N 605203, 29/05/2023, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და და სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 12 და 13 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	**ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუაგორა**
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	**ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუაგორა**
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	**ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუაგორა**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 29 მაისის N 605203 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს {თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი). წევრები: ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ელისო შურღაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); მედიკო ჯიქია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); თამარი დეკანოსიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)} დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაში (ს/კ: 229728658).

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12-13 ივლისს. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ვანის მუნიციპალიტეტის, სოფელ შუაგორაში. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (zoom) გამოყენებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** **(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა რაოდენობა: 141	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზები**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**ხარვეზები**
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა (მეტწილი) შესაბამისობის რეკომენდაცია: იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით და სტრატეგიული გეგმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს ყველა ის საჭიროება რაც სასკოლო ცხოვრების განვითარებას მოემსახურება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, მოახდინოს საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრატეგიული მიზნების ფორმულირება. ამასთანავე გაითვალისწინოს, რომ სტრატეგიული მიზანი თავისი არსით უნდა იყოს მსხვილმასშტაბიანი და უნდა ჩაიშალოს შესაბამის რეალიზებად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		ამოცანებად. ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.
ინდიკატორი N 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში. (მეტწილი შესაბამისობა)
ინდიკატორი N 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა მეტწილი შესაბამისობის რეკომენდაცია: სამოქმედო გეგმით განსაზღვროს მიზნის მისაღწევი ამოცანები და შესრულების ინდიკატორები, რაც იქნება იმის მაჩვენებელი, თუ რა შედეგი უნდა დადგეს კონკრეტული ამოცანის შესრულების შემდგომ.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	უზრუნველყოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება შესაბამისობი გეგმით განსაზღვრულ ვადაში 01.09.2023– 30.09.2023 და მასში განსაზღვროს კადრების შევსებისა და მოზიდვის გზები. ასევე, თანამშრომელთა მიერ სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, კადრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		მყისიერი ჩანაცვლების გეგმა. (მეტწილი შესაბამისობა)
ინდიკატორი N 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლში დაიგეგმა აქტივობები: ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა; ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევების გათვალისწინება შესაბამის დოკუმენტში; გ) დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის უზრუნველყოფა. ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება სტანდარტების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 01.09.2023 - 30.09.2023 და ასევე უზრუნველყოს იმ თანამშრომლების ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და არსებიბის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		შემთხვევაში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა, რომლებიც მინიმუმ 2020 წლიდან მუშაობენ დაწესებულებაში. (მეტწილი შესაბამისობა)
ინდიკატორი N 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	სკოლამ უზრუნველყოს ყველა პოზიციისათვის (გარდა მასწავლებლებისა და ექიმის პოზიციაზე დასაქმებული პირისა) განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შემუშავება დადგენილ ვადაში (30.09.2023) და შესაბამისად სკოლის პერსონალი აიყვანოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. (მეტწილი შესაბამისობა)
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.10.2023 - 01.06.2024);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		• სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობისმუზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024). • სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024 • სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის კაბინეტში ონკანის და გამწოვის მონტაჟი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024). (მეტწილი შესაბამისობა)
ინდიკატორი N.3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა	• სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველი კაბინეტების შესაბამისი ლაბორატორიებით აღჭურვა სტანდარტებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024). ასევე შესაბამისობის გეგმაში განსაზღვროს სხვა ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა პროცენტებში. (მეტწილი შესაბამისობა)
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	რჩევა - მისიით გაცხადებული მიზანი უნდა უნდა იყოს მიღწევადი, ხოლო ხედვა, სასურველია განსაზღვრავდეს სკოლის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		პერსპექტივით) და მასში განსაზღვრული იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.
ინდიკატორი N 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლას მიეცა რჩევა: იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავოს/გადაამუშავოს სკოლის ხედვა,
ინდიკატორი N 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რჩევა: სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობის დროს იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, რომლითაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას მიეცა რჩევა - მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელშიც ცალსახად იქნება ასახული სტრუქტურული ერთეულების/პირების დაქვემდებარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		და ანგარიშვალდებულება. ასევე შეიმუშაოს ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის დირექციის ფუნქციები
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის ან საკუთარი კადრის გადამზადებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა -სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განათავსოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზისა და სამინისტროს ნომერი.
ინდიკატორი N.3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის	სკოლას მიეცა რჩევა სრულყოფილად და დროულად ატვირთოს პორტალზე https://skolebi.emis.ge/-ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	**რჩევა**
ინდიკატორი N 4.1.1.1.	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	სკოლას მიეცა რჩევა - შექმნას ცალკე დოკუმენტი ან შინაგანაწესში ასახოს მოსწავლის უფლებები და მოვალეობები.
ინდიკატორი N 4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	**სკოლას მიეცა რჩევა** ცალკე დოკუმენტად გაწეროს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესაბამისი წესები და გაასაჯაროოს სასკოლო საზოგადოებისთვის.
ინდიკატორი N 4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	შეიმუშავოს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
ინდიკატორი N 4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	**სკოლას მიეცა რჩევა** - შეიმუშავოს ინკლუზიური განათლების დებულება, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		განმარტებული იქნება ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის მნიშვნელობა და შესაბამისი მექანიზმები.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე) ყველა საგანი.**	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგი იძლევა სასკოლო საზოგადოებ ინტერესის, შეხედულებები შესაძლებლობებისა და პრიორიტეტებ გათვალისწინების შესაძლებლობას;	**სკოლას მიეცა რჩევა:** განახორციელოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისობის გეგმა და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლას აქვს მზაობა აღმოფხვრას მითითებული ხარვეზები.

შედეგი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდპირველად, დასკვნის პროექტის ფარგლებში, რიგ ინდიკატორებთან და შესაბამისად კომპონენტთან მიმართებით, შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

ეს ინდიკატორებია:

1.1.კომპონენტის ინდიკატორი 1.1.1.3. შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც არსებული მისიის და ხედვის შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობა არ დასტურდებოდა, თუმცა საბოლოო დასკვნაში ინდიკატორი და შესაბამისად კომპონენტი **შეფასდა როგორც შესაბამისი,** რამდენადაც სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შემნილი მეთოდოლოგია, დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით და შესაბამისი ოქმები (სამეურვეო საბჭოს ოქმი N2 და პედსაბჭოს ოქმი) რითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში.

1.2 კომპონენტის ინდიკატორი N1.2.1.1. **შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც** სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შექმნილი დოკუმენტი რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. აქედან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა **როგორც შესაბამისი.**

1.2 კომპონენტის ინდიკატორი N 1.2.1.2. **შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც** სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შექმნილი დოკუმენტი, რიგი შეუსაბამოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია (იხ.1.2.1.2 დასკვნის ნაწილში) და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

1.2 კომპონენტის ინდიკატორი N 1.2.1.3. **შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც** სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მიზნები სრულად მოიცავს სკოლის განვითარების შესაძლებლობას, თუმცა არ გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან. შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით და შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი.**

1.2 კომპონენტის ინდიკატორი N 1.2.1.4. **შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც** სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი 2023-2024 წ/წლის სამოქმედო გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სამოქმედო გეგმის შემუშავების პრინციპები, მაგრამ მასში არ არის გათვალისწინებული მიზნის მისაღწევი ამოცანები და მათი შესრულების ინდიიკატორები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია (იხ. დასკვნის ნაწილი) და ინდიკატორი შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 კომპონენტის ინდიკატორი N 1.2.2.1. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და ვერ დადგინდა მონიტრინგისა და და შეფასების მექანიზმების არსებობა. სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი მეთოდოლოგიით დასტურდება, რომ სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტრინგსა და და შეფასებას. ამგვარად ინდიკატორი შეფასდა **როგორც შესაბამისი.**

3.1. კომპონენტის ინდიკატორი N 3.1.2.2. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა შემუშევებული დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული ექნება არასაკმარისი კადრის არსებობის შემთხვევაში სკოლის მიერ პროცესების მართვის პოლიტიკა, კადრების შევსებისა და მოზიდვის გზები. ასევე, თანამშრომელთა მიერ სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, კადრების მყისიერი ჩანაცვლების გეგმა. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლამ დაგეგმა საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის შემუშავება და საბოლოო ვადად განსაზღვრა 2023 წლის 30.სექტემბერი, ხოლო პასუხისმგებელ პირად სკოლის დირექტორი. აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია და ინდიკატორი შეფასდა **როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3.1. კომპონენტის ინდიკატორი N 3.1.2.3. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ექსპერტებმა ვერ დაადგინეს, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფდა პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. მაგრამ როგორც სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესწვლით გაირკვა, სკოლში დაიგეგმა შესაბამისი აქტივობები (იხ. დასკვნის ნაწილი) პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სკოლის დირექტორი, ხოლო შესრულების ვადად 01.09.2023 - 30.09.2023.. აქედან გამომდინარე **სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3.1. კომპონენტის ინდიკატორი N 3.1.2.4. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ყველა პოზიციისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვერ შეფასდა დასაქმებული პირების კვალიფიკაციის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან. მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა (3.1.2.3) სკოლის მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, დაიგეგმა საკვალიფიკაციო მოთხვნების შემუშავება და ბოლო ვადად განისაზღვრა 30.09.2023. აქედან გამომდინარე **სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3.3. კომპონენტის ინდიკატორი N 3.3.1.1. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შიდა სასკოლო მექანიზმები განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. არც სხვა დოკუმენტებში იკვეთებოდა სკოლის მიერ პრობლემების იდენტიფიცირების მეთოდოლოგია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები, პროგრესის შეფასების მეთოდები და ა.შ, რაც შექმნიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან ციკლს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა (დანართი N 5), სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მონიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 5 სექტემბის N2 ოქმით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. - რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული, მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შეფასების მექანიზმები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

3.4. კომპონენტის ინდიკატორი N 3.4.1.1. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე არ ჰქონდა უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა ან მიწერილობა და არც შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე სკოლის ქიმიის კაბინეტში არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, განისაზღვრა რიგი აქტივობებისა (იხ დასკვნის ნაწილი) შესრულების ვადად განისაზღვრა 01.10.2023 - 01.06.2024, პასუხისმგებელ პირებად დირექტორი და დირექტორს მოადგილე, სხვა ჩართულ მხარეებად (გარდა დაწესებულებისა) განისაზღვრნენ: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; შემსრულებელი ორგანიზაცია, რესურსცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკად და ამ რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა შესაბამისი უწყების რეაგირების დაგვიანება 10%. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას დაურთო წერილი (MES 1 23 0000870330, 12 ივლისი, 2023), რომელიც გადაეგზავნა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და წერილი, რომელიც გადაეგზავნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებაში დახმარების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია, გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3.5. კომპონენტის ინდიკატორი N 3.5.1.1. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების არქონის გამო დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა **როგორც არ შეესაბამება,** თუმცა წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლამ წერილი გაუგზავნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორს ლაბორატორიების შეძენასთან დაკავშირებით და განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები, რომელთა შემადგენლობაში შედიან დირექტორი და შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი, ხოლო შესრულების საბოლოო ვადად 01.06.2024. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია, გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3.6. კომპონენტის ინდიკატორი N 3.6.3.1. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ განსაზღვრა ხარვეზის გამოსწორების აქტივობები (იხ დასკვნის ნაწილი), შესრულების ვადად მიუთითა 30.11.2023, პასუხისმგებელ პირებად დირექტორი და ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმეგებლი პირი. სხვა ჩართულ მხარედ განისაზღვრა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა - ტენიკური შეფერხება, რომელიც შეფასდა 5% -ით.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის შესახებ ინფორმაციები და დადსტურდა, რომ სკოლას სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილდა **და შეფასდა როგორც შესაბამისი.**

3.6. კომპონენტის ინდიკატორი N 3.6.3.4. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება.** დადგინდა, რომ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილ სივრცეში, ინფორმაცია მოცემულია ქართულ ენაზე. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილდა და **შეფასდა როგორც შესაბამისი.**

3.6. კომპონენტის ინდიკატორი N 3.6.3.5. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება, მაგრამ რამდნადც** სკოლას უკვე აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი შესაბამისი სივრცე და დაწყებული აქვს ინდიკატორით მოთხოვნილი შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაციის ჩატვირთვა, (მისი, ხედვა, ღირებულებები, შინაგანაწესი) ინდიკატორი საბოლოო დასკვნაში შეფასდა **როგორც შესაბამისი.**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისია გულისხმობს - ჩვენი როგორც საგანმანათლებლო კერის, მისიაა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მშობელთა და თემის აქტიური ჩართულობით შევქმნათ არა მარტო კომფორტული სასწავლო გარემო არამედ აღვზარდოთ წიგნიერი, კულტურული თაობები. ყოველივე ამას ვგეგმავთ. მივაღწიოთ სკოლაში არსებული მკითხველთა კლუბის „წიგნიერი“ ინტენსიური და მრავალწლოვანი მუშაობის გზით. ამ კლუბის მუშაობა კი მოიცავს არა მარტო კონკრეტულად ერთი სკოლის, არამედ სკოლათშორის ურთიერთობებს.

სკოლის ხედვაა: სსიპ ალ. ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ღირებულებებია: მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს წარმატება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობა
- ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ჩვენ გვესმის, რომ ვაკეთებთ საერთო საქმეს და ვართ ჩვენი სკოლის ერთგულნი;
- ჩვენ ვზრუნავთ სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე;
- ჩვენ ვემსახურებით საზოგადოებრივ ინტერესსა და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება;
- ჩვენ ვმუშაობთ გუნდურად და ვიცავთ კოლეგიალობას;
- ჩვენ ვართ შედეგზე ორიენტირებული და ვითვალისწინებთ გაწეულ ხარჯსა და მიღებულ სარგებელს

წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მაგრამ მისიის განაცხადი, იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლა გეგმავს წიგნიერი, კულტურული თაობების აღზდას, სკოლაში არსებული მკითხველთა კლუბის „წიგნიერი“ ინტენსიური და მრავალწლოვანი მუშაობის გზით, ვფიქრობთ დახვეწას საჭიროებს, რამდენადაც ერთი კლუბის და მხოლოდ მლითხველთა კლუბის, თუნდაც ინტესიური მუშაობით ასეთი შედეგები არ მიიღწევა. სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადამუშავების პროცესი და შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა - გაითვალისწინონ, რომ მისიით გაცხადებული მიზანი უნდა უნდა იყოს მიღწევადი, ხოლო ხედვა, სასურველია განსაზღვრავდეს სკოლის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით) და მასში განსაზღვრული იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სკოლის მისიაში და ხედვაში ჩანს, რომ ის ორიენტირებულია **სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შექმნაზე. რასაც ადასტურებს შემდეგი ჩანაწერები. მისია:** მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მშობელთა და თემის აქტიური ჩართულობით შევქმნათ არა მარტო კომფორტული სასწავლო გარემო არამედ აღვზარდოთ წიგნიერი, კულტურული თაობები. **ხედვა:** სსიპ ალ. ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც ვხედავთ სკოლას გააზრებული აქვს საკუთრი სასკოლო საზოგადოების, სასკოლო თემის და ზოგადად საზოგადოების ჩართვის მნიშვნელობა სკოლის ცხოვრებაში, მათი პრიორიტეტების, ღირებულებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

რამდენადაც ვიზიტის პერიოდში, სკოლა კვლავაც აგრძელებდა მუშაობას მისიისა და ხედვის ახალი ვერსიის შემუშავებაზე, და ვერ წამოადგინა მტკიცებულება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, მაგრამ ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 07.07.2023– 13.07.2023. ხოლო პასუხიმგებელ პირებად: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმის მწარმოებელი, ,კათედრების წარმომადგენლები,, პედ საბჭო, სამეურვეო საბჭო და მშობელი. ასევე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N2-27 სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავების შესახებ და ბრძანება N2-28 სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი მეთოდოლოგია და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობითი სია, ასევე შესაბამისი ოქმები, რითაც დასტურდება, რომ შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენელმა: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; საქმისმწარმოებელი; ყველა კათედრის გამგეები; სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე; მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე.

სკოლამ ასევე წარმოადგინა სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის შვიდწლიანი 2023-2030 ს/წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 31 აგვისტოს N 2-49 ბრძანებით. სტრატეგიულ გეგმა, სხვა საკითხეთან ერთად მოიცავს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

შესაბამისად სკოლის ახალი მისია და ხედვაა: სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის როგორც საგანმანათლებლო კერის მისიაა მოსწავლე ახალგაზრდობისთვის მშობელთა და თემის აქტიური ჩართულობით შევქმნათ არა მარტო კომფორტული სასწავლო გარემო არამედ აღვზარდოთ წიგნიერი, კულტურული თაობები. ჩაუნერგოთ ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა

სკოლის ხედვა და ღირებულებაა მიაღწიოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. აღზარდოს საამაყო მოქალაქე, ზნეობრივი ღირებულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მიეცა რჩევა: იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავოს/გადაამუშავოს სკოლის ხედვა, რომელშიც განსაზღვრული იქნება სკოლის განვითარების საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი მიზნები (5-15 წლის პერსპექტივით) და სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ (იხ: 1.1.1.1.).
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

დირექციასთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით გადამუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ პედსაბჭოზე, მშობელთა კრებებზე, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. რამდენადაც სკოლას აქვს გასულ წლებში შესაბამისი გამოცდილება, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიების გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის გამოკრულია სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი განაცხადებიც საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება. ამ მიზნით ისინი გამოიკვრება სკოლაში, განთავსედება სკოლის ფეისბუკ გვერდზე და კლასის დამრიგებლები წარადგენენ მშობელთა და კლასის კრებებზე (2023- 2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასაწყისი). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც დასტურდება - სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლისათვის ალექსანდრე ღილუაშვილის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 31 აგვისტის ბრძანებით N76/ნ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანება N2-28 სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები;
- სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი შეფასებულ იქნა, როგორც „არ შეესაბამება“, მაგრამ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 07.07.2023– 13.07.2023. ხოლო პასუხიმგებელ პირებად: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმის მწარმოებელი, „კათედრების წარმომადგენლები„, პედ საბჭო, სამეურვეო საბჭო და მშობელი. ასევე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N2-27 სსიპ ალექსანდრე ლიილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავების შესახებ და ბრძანება N2-28 სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი მეთოდოლოგია და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობითი სია, სხდომის ოქმები, რითაც დასტურდება, რომ შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენლები: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; საქმისმწარმოებელი; ყველა კათედრის გამგეები; სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე; მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე;

სკოლას მიეცა რჩევა: სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობის დროს იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, რომლითაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა და შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა როგორც არ შეესაბამება. მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 13.07.2023– 31.08.2023. ხოლო პასუხიმგებელ პირებად: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმის მწარმოებელი, „კათედრების წარმომადგენლები„, პედ საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და მშობელი. ასევე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის შვიდწლიანი 2023-2030 ს/წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 31 აგვისტოს N 2-49 ბრძანებით.

გეგმით განსაზღვრულია 3 მიზანი: მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერება; სწავლების ხარისხის ამაღლება; უსაფრთხო ორგანიზებული გარემოს შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნები არასრულყოფილად არის წარმოდგენილი. არ არის გათვალისწინებული მაგ, პერსონალის პროფესიული განვითარება ან მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ა.შ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სკოლის სტრატეგიული მიზანი - მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერება თავის მხრივ სწავლების ხარისხის ამაღლების ერთერთ ამოცანად უნდა განიხილებოდეს და არა მიზნად.

სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით და სტრატეგიული გეგმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს ყველა ის საჭიროება რაც სასკოლო ცხოვრების განვითარებას მოემსახურება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, მოახდინოს საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრატეგიული მიზნების ფორმულირება. ამასთანავე გაითვალისწინოს, რომ სტრატეგიული მიზანი თავისი არსით უნდა იყოს მსხვილმასშტაბიანი და უნდა ჩაიშალოს შესაბამის რეალიზებად ამოცანებად. ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

როგორც უკვე აღვნიშნეთ სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული არც სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და არც 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმა, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 31.08.2023– 04.09.2023, ხოლო პასუხიმგებელ პირებად: დირექცია, სამეურვეო საბჭო და პედ. საბჭო.

ასევე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის ერთწლიანი 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 4 სექტემბრის N 2-50 ბრძანებით.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 10 მიზანი:

1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება
2. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება
3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია
5. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა
6. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა
8. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში
9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
10. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მიზნები სრულად მოიცავს სკოლის განვითარების შესაძლებლობას, თუმცა არ გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან.

სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის მიერ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი 2023-2024 წ/წლის სამოქმედო გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სამოქმედო გეგმის შემუშავების პრინციპები, მაგრამ მასში არ არის გათვალისწინებული მიზნის მისაღწევი ამოცანები და მათი შესრულების ინდიიკატორები.

სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სამოქმედო გეგმით განსაზღვროს მიზნის მისაღწევი ამოცანები და შესრულების ინდიკატორები, რაც იქნება იმის მაჩვენებელი, თუ რა შედეგი უნდა დადგეს კონკრეტული ამოცანის შესრულების შემდგომ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.
- 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027 წწ;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ;
- სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა;
- 2023-2024 წ/წლის სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ვიზიტის პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული, **მაგრამ სკოლამ, როგორც უკვე აღინიშნა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც დანართის სახით ახლდა სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.**

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

არსებული მდგომარეობის შესწავლით და წარმოდგენილი დირექტორის ანგარიშებით დადგინდა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებზე სამეურვეო საბჭო ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორისგან იბარებს ანგარიშს, ხოლო დირექტორი თავის მხრივ პედსაბჭოს წარუდგენს, რაც მასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა. შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც გაასაჯაროოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები;
- სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,
- 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმა;
- სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ;
- დირექტორი 2022-2023 ს/წლის ანგარიში.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი და 24 მასწავლებელი. დასაქმებულ პირთა კონკრეტული ფუნქციები განსაზღვრულია მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი.

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის შესაბამისადაც დირექტორს ექვემდებარება დირექტორის მოადგილე, ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სკოლის ექიმი და არასაშტატო ერთეულები. დირექტორის მოადგილის დაქვემდებარებაშია ბუღალტერი, ადმინისტრაციაში კი გაერთიანებულია ტექნიკური პერსონალიც (დამლაგებელი,დარაჯი).

გარდა ორგანიზაციული სტრუქტურისა, სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტები. სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და დისციპლინურ კომიტეტს. სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურული ერთეულებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანება დეტალურად ასახავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულის ფორმირების, ფუნქციების, გადაწყვეტილების მიღებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტით არ არის გაწერილი სკოლის დირექციის ფუნქციები.

სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღმწერილობის დამტკიცების შესახებ ბრძანებით. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტით არ არის გაწერილი მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები.

სკოლას მიეცა რჩევა - მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელშიც ცალსახად იქნება ასახული სტრუქტურული ერთეულების/პირების დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება. ასევე შეიმუშაოს ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის დირექციის ფუნქციები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში დასაქმებული პირები ითავსებენ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს. ასევე, სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, დაკისრებული აქვს გარკვეული პასუხისმგებლობები. დირექტორის მოადგილე განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილ პირად. ასევე, მას ევალება ელექტრონულ ჟურნალებზე მონიტორინგისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. თუმცა, ფუნქციები გამიჯნულია და უფლებამოსილებები დელეგირებულია თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა. რაც თავისმხრივ ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- „სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება
- „სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება
- სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- ელეტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებითა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს და ეფუძნება სკოლის ხედვასა და ღირებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ნაწილობრივ მოიცავს ინფორმაციას პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც სკოლა ახორციელებს არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად ან/და მათზე რეაგირებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. თუმცა, სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული ექნება არასაკმარისი კადრის არსებობის შემთხვევაში სკოლის მიერ პროცესების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის პოლიტიკა, კადრების შევსებისა და მოზიდვის გზები. ასევე, თანამშრომელთა მიერ სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, კადრების მყისიერი ჩანაცვლების გეგმა.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, სკოლამ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, დაგეგმა საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის შემუშავება და ვადად განსაზღვრა 01.09.2023– 30.09.2023. პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სკოლის დირექტორი.

შესაბამისად სკოლას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება შესაბამისობი გეგმით განსაზღვრულ ვადაში 01.09.2023– 30.09.2023 და მასში განსაზღვროს კადრების შევსებისა და მოზიდვის გზები. ასევე, თანამშრომელთა მიერ სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, კადრების მყისიერი ჩანაცვლების გეგმა.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა მასწავლებლებს არჩევს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; მასწავლებლის დასაქმება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ N174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში არსებულ ზოგიერთ პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული (მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ექიმი). შესაბამიასად, ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლა ხელმძღვანელობს აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით. თანამშრომელთა შერჩევის მიზნით, კონკურსის გამოცხადებისას სკოლა შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს (გარდა მასწავლებლის კონკურსისა) საკონკურსო კომისიას ქმნის კანონმდებლობის შესაბამისად, ვაკანსიას აცხადებს მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე. კანდიდატის შერჩევა ხდება სკოლის მიერ განსაზღვრული ვადების, ეტაპებისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას თავის მხრივ არ აქვს შემუშავებული სკოლის დანარჩენი თანამშრომლებისათვის დადგენილი მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**

გარდა ამისა, პერსონალის შერჩევის პოლიტიკასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი, **სკოლის მიერ შემუშავებული არცერთი დოკუმენტი არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს. (სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევა). გარდა დოკუმენტში შეზღუდვის არარსებობისა, თანამშრომელთა პირად საქმეებში არ ინახება სკოლაში დასაქმებული პირების ცნობებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ აქვს განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის შერჩევისას არ ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებული დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს, ვერ ჩაითვლება, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დასკვნის პროექტით შეფასდა, როგორც არ არის დაკმაყოფილებული.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლში დაიგეგმა შესაბამისი აქტივობები:

ა) საკვალიფიკაციო მოთხვნების განსაზღვრა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევების გათვალისწინება შესაბამის დოკუმენტში;

გ) დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სკოლის დირექტორი, ხოლო შესრულების ვადად 01.09.2023 - 30.09.2023.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება სტანდარტების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 01.09.2023 - 30.09.2023 და ასევე უზრუნველყოს იმ თანამშრომლების ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და არსებიბის შემთხვევაში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა, რომლებიც მინიმუმ 2020 წლიდან მუშაობენ დაწესებულებაში.

შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილდა.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. გარდა მასწავლებლებისა, ექიმის პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაციაც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, **იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული ყველა პოზიციისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვერ შეფასდა დასაქმებული პირების კვალიფიკაციის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან. მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა (3.1.2.3)** სკოლის მიერ წარმოდგენილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, დაიგეგმა საკვალიფიკაციო მოთხვნების შემუშავება და ბოლო ვადად განისაზღვრა 30.09.2023.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება დადგენილ ვადაში (30.09.2023) და შესაბამისად სკოლის პერსონალი აიყვანოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილდა.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტიდან და სტრუქტურულ ერთეულთა სხდომის ოქმებიდან გამომდინარე, ცალსახად იკვეთება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა. გარდა პედაგოგიური საბჭოსა და კათედრებისა, სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებაა. ამ ჯგუფში აქტიურად ვლინდება მასწავლებელთა გუნდური მუშაობა. ისინი განიხილავენ წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებს, გეგმავენ ურთიერთდასწრებას, მსჯელობენ სწავლების სტრატეგიებზე, ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო რესურსების მოძიებაში და უზიარებენ ერთამენთს ინფორმაციას განათლების სფეროში დანერგილი ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა ასევე სკოლაში ვიზიტის დროსაც. **შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლას შინაგანაწესით აქვს განსაზღვრული წახალისების მექანიზმები როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომელთათვის. მოსწავლეების შემთხვევაში გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება. თანამშრომელთათვის წახალისების სახით დამატებით გამოიყენება ფულადი პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც. გარდა ამისა, წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომლის საშუალებითაც აზიარებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა წარმატების მაგალითებს, იქნება ეს სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამებსა თუ კონკურსებში მონაწილეობა, ტრენინგების წარმატებით გავლა, მასწავლებლის შემთხვევაში სტატუსის ამაღლება და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის შემქნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
- სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა;
- სოციალური ქსელში სკოლის გვერდი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. გარდა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მზარდაჭერის ჯგუფისა, კათედრების სამოქმედო გეგმისა და სხდომის ოქმების გათვალისწინებით იკვეთება, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდება უკუკავშირის მიცემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით, შესაბამისი ტრენინგებით. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმებსა და კათედრების სამოქმედო გეგმაში იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობა. აღნიშნული დასტურდება შესაბამისი ოქმებითა და თანამშრომელთა სერთიფიკატებით/ცნობებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მისი დებულების შესაბამისად, ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლის მიერ პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობად შეიძლება მივიჩნიოთ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული თანამშრომელთა წახალისების შესაძლებლობა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის კარიერული და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიკვეთა სკოლაში ვიზიტის დროსაც. სკოლის დირექცია ახალისებს თანამშრომლებს, მიიღონ უმაღლესი განათლება (საქმისმწარმოებელი) და მასწავლებლებს - დაადასტურონ საგნობრივი კომპეტენცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ხდება ახალბედა მასწავლებლის მხარდაჭერა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი, რომლისთვისაც სკოლას განსაზღვრული ჰყავს ტუტორი, რომელსაც ევალება მაძიებლისათვის პროფესიული გამოცდილების გაზიარება, სათანადო რჩევების მიცემა, სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში ხელის შეწყობა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის სამოქმედო გეგმასა და კათედრების სამოქმედო გეგმებში გაწერილია მასწავლებელთა ინიციატივები პროფესიული განვითარებისათვის ტრენინგებსა და ვებინარებზე დასწრებასთან დაკავშირებით. სკოლის თანამშრომელთა ცნობები/სერთიფიკატებით დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლებს დაესწრონ მათთვის საინტერესო და სასუველ ტრენინგებს. ასევე, პერსონალის განვითარების წახალისებას ემსახურება სკოლის შინაგანაწესით გაწერილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებიც. შესაბამისად, ინდიკატორი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება;
- კათედრის ოქმი;
- კათედრები სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მაძიებლისთვის ტუტორის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- პრემიის გაცემის შესახებ ბრძანება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი გარკვეულწილად ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ძრითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან. კათედრების მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება. თუმცა, ვიზიტის პერიოდში **სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შიდა სასკოლო მექანიზმები განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. არც სხვა დოკუმენტებში იკვეთებოდა სკოლის მიერ პრობლემების იდენტიფიცირების მეთოდოლოგია, პროცედურები, პროგრესის შეფასების მეთოდები და ა.შ, რაც შექმნიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან ციკლს.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტში - დანართი N 5 -. სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მონიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 5 სექტემბის N2 ოქმით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. - მკაფიოდ არის განსაზღვრული, მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შეფასების მექანიზმები. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. რომლებშიც გაწერილია დირექციის, ადმინისტრაციისა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები მართვის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

გასაჩივრების პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის მიერ შემუშავებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებით. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო. მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. სკოლის მიერ შემუშავებული საჩივრის განხილვის წესი მოიცავს ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურას. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის პირი განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს, რომელიც საკითხის განხილვის მიზნით, ქმნის საპრეტენზიო კომისიას. განსაზღვრულია ასევე, შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრებისა და განხილვის წესი. დისციპლინური კომიტეტი დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტების შესახებ);
- დისციპლინარული კომიტეტის ოქმი;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. აღნიშნული წესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავების მიზანია სკოლის საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლის საქმიანობისა და მისაღები ან/და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების როლის ზრდას სკოლის საქმიანობაში. სკოლა მოსწავლეებთან, თანამშრომლებთან და მშობლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: ელ-ფოსტა, e-Flow-ს სისტემა, სოციალური მედიის არხები, საინფორმაციო დაფა. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან კორპორატიული მეილის საშუალებით უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას. შესაბამის ანალიზს წარმართავს დირექტორის მოადგილე საკითხთან დაკავშირებული პირების ჩართულობით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას დამატებით შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი, რომლის შესაბამისადაც, მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე (პერსონალური მონაცემების დაცვით), Teams-ის ან Zoom-ის პლათფორმის საშუალებით ონლიან, ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით და ასევე სოციალური ქსელების საშუალებით. კომუნიკაციის აღნიშნული საშუალებები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ძირითადად პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. ის უზრუნველყოფს მშობელთა კრების მოწვევას, მშობლებისთვის სკოლის საქმიანობისა და სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ასევე აცნობს მათ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და მოსწავლეთა ქცევის წესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობითა და სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნდა აღინიშნოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- მშობლებთან ურთიერთობის წესი;
- სკოლის წესდება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ ბრძანების შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას არ ჰყავს მანდატური. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოება, დაიცვას სკოლის შენობა და ქონება, გააკონტროლოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი და უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის დავა უცხო პირთა შესვლისაგან. (გარდა დირექციასთან შეთანხმებული შეხვედრებისა). სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, ყოველ დღე 4 მასწავლებელი აკონტროლებს სკოლის სამივე სართულსა და ეზოს. <u>სკოლას არ აქვს ვიდეოკამერები, რომლითაც მოხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი.</u> სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი და კარადები, თუმცა ექიმის კაბინეტი არ არის უზრუნველყოფილი საჭირო მედიკამენტებითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით, რისი შეძენაც იგეგმება ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის. სკოლას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჰყავს აყვანილი შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ახდენს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვას. ექიმის ფუნქციები გაწერილია სკოლის დირექტორის ბრძანებით თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ ბრძანებით. **სკოლის ქიმიის კაბინეტში არ არის დამონტაჟებული ონკანი და გამწოვი.**
<u>სკოლას არ აქვს შემუშავებული და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე, სკოლას არ აქვს შენობაში გამოკრული საევაკუაციო გეგმები და არ აქვს სიგნალიზაციის სისტემა.</u> შენობაში განთავსებულია მხოლოდ 1 ცეცხლმაქრი, რომელიც არ არის შესაბამისი წესით და ვადებში დამუხტული. **ასევე არ აქვთ უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა ან მიწერილობა. არ აქვს შენობის მდგრადობის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამადასტურებელი დოკუმენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რჩევა - უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა, ან საკუთარი კადრის გადამზადება ამ მიმართულებით.** უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ერთი წლის წინ არის სრულად რეაბილიტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, თუმცა სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში გამოვლინდა ხარვეზები შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით და ვიზიტის პერიოდში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით სარეაბილიტაციო სამუშაოები. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, **ინდიკატორი დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა როგორც არადამაკმაყოფილებელი.**

<u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, განისაზღვრა რიგი აქტივობებისა:</u>

<u>ა) ვიდეოკამერების მონტაჟის უზრუნველყოფა, რომლითაც მოხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი.</u>

<u>ბ) სანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმება;</u>

<u>გ)შენობაში საევაკუაციო გეგმების გამოკვრა;</u>

<u>დ) სიგნალიზაციის სისტემის უზრუნველყოფა;</u>

<u>ე) ცეცხლმაქრების უზრუნევლყოფა;</u>

<u>ვ) ქიმიის კაბინეტში ონკანის და გამწოვის მონტაჟის უზრუნველყოფა;</u>

<u>ზ) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება;</u>

<u>თ) შენობა-ნაგებობის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნის მოპოვება.</u>

აქტივობების შესრულების ვადად განისაზღვრა 01.10.2023 - 01.06.2024, პასუხისმგებელ პირებად დირექტორი და დირექტორის მოადგილე, სხვა ჩართულ მხარეებად (გარდა დაწესებულებისა) განისაზღვრნენ: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; შემსრულებელი ორგანიზაცია, რესურსცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკად და ამ რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა შესაბამისი უწყების რეაგირების დაგვიანება 10%. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას დაურთო წერილი (MES 1 23 0000870330, 12 ივლისი, 2023), რომელიც გადაეგზავნა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. სკოლამ ასევე წარმოადგინა წერილი, რომელიც გადაეგზავნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებაში დახმარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.10.2023 - 01.06.2024);
- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობისმუზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024).
- სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის კაბინეტში ონკანის და გამწოვის მონტაჟი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024).
- სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024).

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილდა.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ, განიხილავს არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლას, მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი და განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ბულინგის წინააღმდეგ და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ ჰყავს მანდატური. ჰყავს მხოლოდ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი/უფლებამოსილი პირი, რომელსაც ევალება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.
სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლის შენობაში არ არის გამოკრული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზისა და სამინისტროს ნომერი, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა- თვალსაჩინო ადგილას განათავსოს საინფორმაციო ნომრები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფსიქოემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი. მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია სპეციალური მასწავლებლის ფუნქციები. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ეზოში მოწყობილი სპორტული მოედანი და სავარჯიშო ტრენაჟორებით აღჭურვილი სივრცე, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესს. რესურსოთახში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, ქმნის შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნილობის განცდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. დამლაგებლის სამუშაო აღწერილობისა და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, დამლაგებელი ვალდებულია ყოველდღიურად დაალაგოს სველი წესით და დაიცვას სისუფთავე სასკოლო ოთახებში, დერეფანში და ასევე სველ წერტილებში.

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების მიხედვით, სასწავლო ინვენტარს (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) დამლაგებლები წმენდენ საწმენდი საშუალებებით. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სველი წერტილების სანიტარულ დასუფთავებას ყოველი შესვენებისა და სასწავლო დღის შემდგომ. მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმი, თუმცა აღნიშნული ვერ დასტურდება დოკუმენტურად. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და საწმენდი საშუალებების შესანახად არის გამოყოფილი ცალკე ოთახი. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება აღნიშნულ ოთახში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს საქმისმწარმოებელი. სხვადასხვა უწყების მიერ მოთხოვნილ მასალებში სკოლა ფარავს პერსონალურ მონაცემებს. ასევე, სასკოლო ან/და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არასასკოლო აქტივობების მიმდინარეობის პროცესში გადაღებული ფოტო/ვიდეო/აუდიო ჩანაწერებსა და ამ გზით მოპოვებულ პერსონალურ ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში სკოლა ამუშავებს და იყენებს მშობელთა თანხმობით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტისა და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. სკოლას დირექტორის ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული სკოლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვაზე უფლებამოსილი პირი. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

დირექტორის განმარტებით, საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. ასევე წესების დაცვით ასახავს სკოლა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში- Eschool.emis.ge მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას, მობრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას და ა.შ). სკოლა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენელის თანხმობის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ექიმის ხელშეკრულება;
- სპეცმასწავლებლის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- დამლაგებლის ხელშკრულება;
- დარაჯის ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სკოლა განლაგებულია 12046 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე. შენობის საერთო ფართია-2418.8 კვ. მ; სართულის რაოდენობა - 3 ; სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2022 წელს, თუმცა გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ჯერ კიდევ მიმდინარეობს ხელახალი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სკოლაში ირიცხება 144 მოსწავლე. თუმცა, განაცხადში სკოლას დაშვებული აქვს ტექნიკური შეცდომა და დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობაში მითითებული აქვს 141 მოსწავლე. სკოლამ შეცდომის გამოსწორების მიზნით, ვიზიტის პერიოდში მიმართა წერილობით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ყველა (12) საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 12 კომპიუტერით, პროექტორით, ეკრანით, ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. **სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტები, თუმცა არ გააჩნიათ ლაბორატორია და შესაბამისი მატერიალური რესურსები.**

სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე. ასევე აქვს სკოლის ეზოში გარე სპორტული მოედანი. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, საინფორმაციო და სხვა სახის მასალები. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი, რაც შშმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. სსსმ მოსწავლეთათვის პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე და აღჭურვილია ინდ. გეგმებით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების არქონის გამო ინდიკატორის მოთხოვნები დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა როგორც არ შეესაბამება, თუმცა წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლამ წერილი გაუგზავნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორს ლაბორატორიების შეძენასთან დაკავშირებით და განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები, რომელთა შემადგენლობაში შედიან დირექტორი და შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი, ხოლო შესრულების საბოლოო ვადად 01.06.2024.

ზემოთქმულის გათვალისწინებით სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია:

- **სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველი კაბინეტების შესაბამისი ლაბორატორიებით აღჭურვა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2023 - 01.06.2024). ასევე შესაბამისობის გეგმაში განსაზღვროს სხვა ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა პროცენტებში.**

ინდიკატორი მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარე და შიდა სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის ერთიანი წესით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შესასვლელით შეუძლია ისარგებლოს ეტლით მოსარგებლე პირმა. სსსმ პირისთვის პირველ სართულზე მოწყობილია რესურსოთახი და ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა სველი წერტილის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესასვლელი კარი დაბალია. რამდენადაც სკოლასი მიმდინარეობს მეორადი რეაბილიტაციის სამუშაოები, შესავლელი კარი ექვემდებარება შეცვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია და დახურული სპორტული მოედანი, სავარჯიშო ტრენაჟორებით აღჭურვილი სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ისე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურის სახით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის ერთიანი წესი. თუმცა, შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნების დიდი ნაწილი არ არის დამუშავებული, თუმცა სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას 2021 წელს აქვს შეძენილი 12 პორტაბელური კომპიუტერი და 2 ლაზერული პრინტერი, რომელიც მუშაობს შეუფერხებლად. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. მისი სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, საინფორმაციო მენეჯერი უზრუნველყოფს სკოლის ქსელური ინფრასტრუქტურის განახლებას, უზრუნველყოფს სკოლის შიდა ქსელური სერვისების პროგრამების გამართულად მუშაობას და წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში სკოლის თანამშრომლებსა და მოსწავლეებს ეხმარება ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებაში. გარდა საინფორმაციო მენეჯერისა, სკოლას ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სკოლაში წამოჭრილი პრობლემების აღმოფხვრას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 12 კომპიუტერი. ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მიზნობრიობის გათვალისწინებით, შეუზღუდავად გამოიყენონ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, ყოველწლირად ხდება კომპიუტერების გადაცემა პირველკლასელთათვის. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიები სრულად ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მიერ კომპიუტერებისა და პრინტერების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- საინფორმაციო მენეჯერის ხელშეკრულება;
- მიღება-ჩაბარების აქტი კომპიუტერების გადაცემასთან დაკავშირებით.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემასა და საარქივო საქმეს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულებული სამუშაოს კონტროლს ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებითა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. სკოლაში შემოსულ გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტასა და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება,, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომლებთან მიმართებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 9 დეკემბრის N5 ოქმით, რომელიც ეხება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენას. გარდა ამისა, სკოლას დადგენილ ვადაში აქვს გაგზავნილი სამინისტროსათვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი ჯგუფის დასკვნა განხორციელებული მონიტორინგის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება და ჯგუფის დასკვნა;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებად აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელის - Facebook-ის გვერდს, ელექტრონულ ფოსტას: Shuagora@mes.gov.ge, ელექტრონულ ჟურნალს, Teams-ისა და Zoom-ის პლატფორმას. მშობლების სწრაფი ინფორმირებისათვის - სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებგვერდი, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ განსაზღვრა ხარვეზის გამოსწორების აქტივობები, რაც გულისხმობს შემდეგს:**

ა) შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა;

ბ) ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;

გ) ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.

შესრულების ვადად მითითებულია 30.11.2023, პასუხისმგებელ პირებად დირექტორი და ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმეგებლი პირი. სხვა ჩართულ მხარედ განისაზღვრა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა - ტენიკური შეფერხება, რომელიც შეფასდა 5% -ით

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის შესახებ ინფორმაციები და დადასტურდა, რომ სკოლას . სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის მიზნით საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით. სკოლის facebook გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია. წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

რამდენადაც სკოლა გადის პირველდი ავტორიზაციის პროცესს, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

როგორც უკვე აღინიშნა სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ გვერდი და შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული, თუმცა ექსპერტთა გადამოწმებით დადასტურდა (იხ.3.6.3.4), რომ სკოლას **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია ქართულ ენაზე. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ გვერდი და მის ნაცვლად ინფორმაციის გავრცელების საშუალებად იყენებდა მხოლოდ სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ, თუმცა facebook -ზე არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილ შესაბამისი სივრცეში, სკოლამ უკვე განათავსა (სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები) რიგი დოკუმენტებისა.

შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: სრულყოფილად განათავსოს პორტალზე https://skolebi.emis.ge/-ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100063722465427
- ელექტრონულ ფოსტა: Shuagora@mes.gov.ge



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლის ვაუჩერული დაფინანსება ძირითადად ხმარდება თანამშრომელთა ხელფასებს, სკოლისათვის აუცილებელი რესურსების, საკანცელარიო და საოფისე ნივთების შეძენას. სკოლას არ აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი, გარდა ბანკის პროცენტისა, რაც ასევე ხმარდება სასკოლო-სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. თუმცა, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს და განკარგავს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე. ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის შემუშავებისას, სკოლა ითვალისწინებს გასული წლის გამოცდილებასა და საპროგნოზო ბიუჯეტს. შესყიდვების გეგმა შედგენილია კანონით დადგენილ ვადაში. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევასა და შესყიდვების გეგმის ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირი. ფინანსური რესურსების განკარგვის მონიტორინგის ერთგვარი საშუალებაა სკოლის დირექტორის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს 9 დეკემბრის ოქმით, რომლითაც სკოლის დირექტორს სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი აქვს წლიური ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტის გათვლისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესები მიმდინაროებს შეუფერხებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით
- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესით, მოსწავლეთა ქცევისა და ასევე მასწავლებლის ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2019 წლის 6 სექტემბრის N1 სხდომის ოქმით. შეტანილია ცვლილება და დამტკიცებულია სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2020 წლის 27 ნოემბერს. ოქმიN6. დოკუმენტში გაწერილია: მოსწავლეთა წახალისების ფორმები - **მუხლი 11.** მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; დისციპლინური დევნა - მუხლი 12; მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები - **მუხლი 16 და მუხლი 17**; სახდელის დაკისრება ერთზე მეტი გადაცდომის ჩადენის დროს - მუხლი 18; მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი - მუხლი 19; სკოლაში ჩაცმულობის წესი - მუხლი 24.

შინაგანაწესში მოსწავლეთა უფლებები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, მხოლოდ სხვადასხვა მუხლშია აღწერილია ის საკითხები რომლებიც დასაქმებულის/მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა უფლებების დაცვას ეხება. **შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - შექმნას ცალკე დოკუმენტი ან შინაგანაწესში ასახოს მოსწავლის უფლებები და მოვალეობები.**

სკოლაში მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მისი წარმომადგენელი. დისციპლინარული კომიტეტი დაკომპლექტებულია მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლის თანაბარი რაოდენობით. სკოლაში მუშაობს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეც. დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ მოსწავლეს შეუძლია, ნებისმიერ დროს, მიმართოს დირექციას საკუთარი აზრის გამოსახატავად სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით. მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია დაცულია სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, მასწავლებლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასის დამრიგებელთა მხრიდან. მშობელთა კრებების ჩატარების დროს კლასის დამრიგებელი საერთო შეხვედრაზე განიხილავს ზოგად ინფორმაციას. სსსმ მოსწავლეებისათვის ინდ. სასწავლო გეგების შემუშავება ხდება რეგულაციების დაცვით.
სკოლას შემუშავებული აქვს ასევე - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომლის ერთერთი მთავარი მიზანი სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ **სკოლის შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლაში უზრუნველყოფილია **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. ამ მიზნით შექმნილია მოსწავლეთა** თვიმმართველობა, რომელშიც გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეები. ისინი თავისი საფეხურის მოსწავლეებს ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ აცნობენ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, კონსულტაციას უწევენ მათ რიგ საკითხებში.სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველასთვის. საინფორმაციო დაფის, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით, მშობელთა კრებების საშუალებით. შინაგანაწესით მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ევალება დამრიგებელს, რომელიც ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას დოკუმენტის მთავარი საკითხები გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ვიზიტის პერიოდში რიგ საკლასო ოთახებში გამოკრული იყო მოსწავლეების მიერ შემუშავებული ქცევის წესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა არსებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ მათში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ასევე ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების მოქმედების ვადის და შეწყვეტის წესის, დავის გადაწყვეტის, მხარეთა რეკვიზიტების და დამატებითი პირობების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- დირექტორის ანგარიში;
- თვითმმართველობის ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სსიპ ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორიას საჯარო სკოლა - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სკოლას მიეცა რჩევა ცალკე დოკუმენტად გაწეროს შესაბამისი წესები და გაასაჯაროოს სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

ექსპერტრბის მიერ გადამოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვასთან დაკავშირებით და დადგინდა, რომ პროცესი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის" 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა გასული წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (ახალი სასწავლო გეგმა ვიზიტის პერიოდში ჯერ კიდევ შემუშავებული არ იყო), რომლითაც განსაზღვრულია მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალ სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, რომელიც სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე იქნება დამტკიცებული, ასევე აისახება ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის. ვიზიტის პერიოდში ის შინაგანაწესთან ერთად ასევე გამოკრული იყო დერეფნებში, რაც უზრუნველყოფდა მის საჯაროობას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას, ასევე სკოლის შინაგანაწესს მოსწავლის ქცევის კოდექსს, დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს, საგანგებო სიტაუციების დროს სამოქმედო გეგმასა და ქცევის წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, სასკოლო სასწავლო გეგმას და სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემას აცნობენ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დაწყების წინ, დამრიგებლების მეშვეობით.

სკოლაში განსაზღვრულია ასევე მეორე უცხოური ენის არჩევის წესი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება ხდება მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრებაზე. კლასის დამრიგებელი მშობლებს ასარჩევად სთავაზობს მინიმუმ ორ ენას. ყველა მშობლის აზრის გათვალისწინებით ფორმდება შესაბამისი ოქმი, რაზეც ხელს აწერს მეხუთე კლასის მოსწავლეთა ყველა მშობელი. სკოლის ყველა საჭირო ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებით, შესაბამისად ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება N02-08 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევისა და მათი სკოლიდან ამორიცხვის შესახებ (12 მოსწავლე);
- 2022-2023 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლეების ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ სწავლის დაწყების პირველ დღეს, აწყობენ ღონისძიებებს, დამრიგებლები ათვალიერებინებენ სკოლის ინფრასტრუქტურას და აცნობენ შინაგანაწესს. სკოლაში შემუშავებულია სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის გეგმა, თუმცა სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ პირველ სასწავლო დღეს, გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს და ათვალიერებინებენ სკოლის შენობას. არსებული ინფრასტრუქტურა მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებაზე. შშმ პირთა ადაპტაციისთვის სკოლის შესასვლელში ჩაშენებულია მყარი პანდუსი, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი და რესურსოთახი, სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ ისინი განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც მათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში და პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება.მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ხშირად მიმართავენ ინდივიდუალურ მუშაობას მოსწავლეებთან გაკვეთილების დასრულების შემდეგ. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესები და ვადები, რომლებიც შესაბამისობაშია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებთან.

სკოლის შინაგანაწესის თანახმად, მოსწავლეებს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, შეუძლიათ ისარგებლონ გამოცდების ჩაბარების ექსტერნის წესით, ისარგებლონ ასევე საშემოდგომო გამოცდის ჩაბარების უფლებით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აიმაღლონ სემესტრული ნიშნები სასწავლო გეგმით გაწერილ ვადებში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების თანახმად, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომავალშიც გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების მხარდასაჭერად ტარდება რიგი ღონისძიებებისა. ამისთვის არსებობს მკითხველთა კლუბიც. მოსწავლეების სურვილების გათვალისწინებით განხორციელდა რამდენიმე სასკოლო პროექტი: „პატარა სხეულის დიდი ძალაუფლება“, ,,ჩემი სამშობლო-საქართველოა“, - „უსაფრთხო სკოლა“, „მხიარული სტარტები“ და სხვა. მოსწავლეთა ინიციატივით ტარდება ექსკურსიები, ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს სკოლა განსაზღვრავს სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

როგორც თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ და სკოლის წარმომადგენლებმაც დაგვიდასტურეს უფროსკლასელები ბარათებით ან პოსტერებით გამოხატავენ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხზე. უმცროსკლასელები კი ქმნიან ნახატებს, აპლიკაციებს, პოსტერებს. სკოლის ფეისბუკგვერდზე კი სასკოლო საზოგადოების, თემის თუ ყოფილი მოსწავლეებისაგან მხარდამჭერი კომენტარები სტიმულს აძლევს მათ უკეთესი მუშაობისათვის. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოსწავლეთა გამოკითხვას თვითმმართველობის წევრების დახმარებით და მათი ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითმმართველობის სხდომის ოქმები.
- სასკოლო პროექტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის მიზანია ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება სტუდენტი ახალგაზრდობის, სკოლის პედაგოგების პროფესიული განვითარებისა და სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის, მათი პროფესიული ორიენტირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეწყობისაკენ. მემორანდუმი გაფორმებულია 2021 წლის 24 მარტს და მოქმედებს 6 წლის ვადით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მოსწავლეთა პროფესიული მიდრეკილებებისა და ინტერესების დასადგენად, მომავალი სასწავლო წლიდან, იგეგმება კითხვარების შემუშავება მოსწავლეებისთვის და ასევე სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ საწარმოში სტუმრობა, რაც ხელს შეუწყობს სკოლას პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეთათვის, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-61, 14.09.2022, სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან ყველა საგნის მასწავლებლები, სპეც. მასწავლებელი, მშობლები და ადმინისტრაციის 2 წევრი. ბრძანებით განსაზღვრულია მათი უფლება/მოვალეობები. სკოლამ წარმოადგინა ასევე შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ყველა წესის დაცვით არის შემუშავებული. მათში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრების კალენდარი; მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე; მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა გრძელვადიანი მიზნები; კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები; მოსწავლის პროგრესის შეფასება.

სკოლას მიეცა რჩევა - შეიმუშავოს ინკლუზიური განათლების დებულება, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად განმარტებული იქნება ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის მნიშვნელობა და შესაბამისი მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

როგორც უკვე აღინიშნა სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს (4.2.3.1) ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება რომ სკოლას აქვს მზაობა, მომავალშიც წარმატებით განახორციელოს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმები;
- სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლის მიერ შეთავაზებული არასავალდებულო ხასიათის მომსახურებაში შედის ტრანსპორტირების სერვისი, რომელსაც ფინანსურად უზრუნველყოფს ვანის მუნიციპალიტეტის მერია. შესაბამისად ხელშეკრულებაც მძღოლთან გაფორმებულია მერიის მხრიდან. ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობაც კონტროლდება მათი მხრიდან. სკოლა აკონტროლებს მომსახურების ხარისხს, აწარმოებს ტაბელს, რომელსაც შემდეგ გადასცემს მერიის სამსახურს. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ყველა ექსკურსიის უფლების მოპოვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ტრანსპორტის გამართულობას, მედპერსონალის თანხლებას, ნებართვებს, ექსკურსიის გეგმას, დღის რეჟიმს.ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით. ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, სხვადასხვა საგნობრივი კლუბის შექმნას, მათ შორის შეთავაზებული იქნება ფეხბურთის კლუბიც. ამ ეტაპზე, სკოლას არ აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ თავად დააფინანსოს მსგავსი ექსკურსიები, აქედან გამომდინარე, ისინი იგეგმება მშობელთა ინიციატივით მათი განცხადების საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

დირექტორთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, სკოლაში არსებული ყველა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვას. მოსწავლეთა ტრანსპორტის მომსახურების უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალიტეტი, ხოლო სასკოლო ექსკურსიების მოწყობისთვის საჭირო პროცედურების დაცვას აკონტროლების სკოლის დირექტორი. შესაბამისად სკოლა მომავალშიც გააგრძელებს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი საფეხური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის როგორც კლასების, ისე მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს იგეგმება, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე ხდება კურიკულუმების მეთოდიკის შემუშავება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმების შევსების მეთოდოლოგია და დებულება. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, მე-4 კლასის, ინგლისურიი ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა შექმნან პოსტერი საყვარელ ცხოველზე, სადაც ისაუბრებენ მის ნიშან-თვისებებსა და ცხოვრების სტილზე. ისინი თავად წყვეტენ რომელ ცხოველს აარჩევენ და როგორ გააფორმებენ პოსტერს, ან რა ფორმატს აირჩევენ პოსტერის გასაკეთებლად (თაბახაზე, ვორდის ფაილში აწყობილი თუ PPT-ში აწყობილი და .აშ.), რა ინფორმაციას დაიტანენ მასზე და ა.შ. ამდენად, მოსწავლეები თავად არიან საკუთარი სასწავლო პროცესის წარმმართველნი და დავალებას ასრულებენ საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მსგავსადაა აგებული ინგლისური ენის მე-5 კლასის კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც მოსწავლეებმა უნდა შექმნან პოსტერი საყვარელ დღესასწაულთან დაკავშირებით; რუსული ენის ერთ-ერთი კომპლექსურის დავალების პირობის მიხედვით (კლასი V), მოსწავლეებმა ციფრული რესურსის ‘’ვსწავლობთ თამაშით’’ გამოყენებით უნდა შექმნან ილუსტრაცია ჩემი საყვარელი სეზონი და ა.შ. თითქმის ყველა კომპლექსური დავალება არის მსგავსი ტიპის. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი შუაგორას საჯარო სკოლაში, დაწყებით საფეხურზე მოსწავლე ნამდვილად არის სწავლის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილია მუსიკისა და ხელოვნების საგნის კურიკულუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს 2023-2024 სასწავლო წელს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაბამისობაშია საგნობრივ სტადარტებთან და განსაზღვრულია სასწავლო წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროობები და ინტერესები, განსაზღვრულია შუალედური სასწავლო მიზნები გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება კურიკულუმები და დაიხვეწება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და შერჩეული კომპლექსური დავალებების განხორციელების პერიოდის გათვალისწინებით. გასაუბრებისას დაფიქსირებული მოსაზრებების და წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის დოკუმენტები იძლევა შემდეგი ტიპის დასკვნის შესაძლებლობას, რომ ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმით ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, პრიორიტეტების და შესაძლებლობების გათვალისწინება. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების დროს ხდება სასკოლო საზოგადოების, მშობლის, მასწავლებლი, და მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება რათა დოკუმენტი იყოს მოქნილი და მაქსიმალურად ასახავდეს მოსწავლეთა განვითარების გზას. თუმცა მკაფიოდ არ ჩანს პროირიტეტების შესახებ ინფორმაცია და მიმდინარე წლის სასწავლო კურიკულუმში მოხდა თუ არა მიგნებების აღნიშვნა, შესაბამისი უკუკავშირების გაკეთება და ამის შემდგომ ჰპოვა თუ არა ასახვა მომდევნო წლის სასწავლო გეგმაში. (თვითშეფასების კითხვარში მითითებულია, რომ მოხდა კათედრებზე მომოხილვა, მაგრამ სკოლას კათედრის შესაბამისი ოქმი არ წარმოუდგენია). თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმი არის კლასის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი, რომელიც გამოხატავს სკოლის იმ საჭიროებების, ღირებულებების, ფორმალური და არაფორმალური აქტივობების განხორციელების გზას. ჩანს, რომ არის მზაობა მაქსიმალურად იყოს მომავალში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, პრიორიტეტები და შესაძლებლობები გათვალისწინებული კურიკულუმის შემუშავებისას. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სკოლა 2020-2021სასწ. წლიდან ჩართულია პროექტ „ახალი სკოლის მოდელში“. ამ პროექტის ფარგლებში გაიარეს საგნობრივი ტრენინგები, განიხილეს მესამე თაობის ესგ, ქოუჩების დახმარებით შეიმუშავეს კურიკულუმი. მიღებული ცოდნა კათედრებმა გაუზიარეს ერთმანეთს, გაითვალისწინეს მოსწავლეთა საჭიროებები და წინა წლების გამოცდილება, გამოკვეთეს მნიშვნელოვანი თემები, გრძელავადიანი მიზნები, ძირითადი და დამატებითი ტექსტები, რესურსები. შექმნეს თემატური მატრიცები. დაგეგმეს, რამდენი კომპლექსური დავალება უნდა განეხორციელებინათ დაწყებით საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებაში, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც. კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ საკუთარ და ერთმანეთის გამოცდილებას, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს, მოსწავლეთა დამოკიდებულებას განხორციელებული კომპლექსური დავალებების მიმართ. გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ნათლად ჩანდა, თუმცა ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად ამუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმი შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების დამატება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში დაგეგმილია შეხვედრები კათედრის წევრებთან. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიმდინარე სასწავლო წლის მიღწევები და ცვლილებები ასახულია 2023-2024 წლის სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მთელი სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მშობელი, დირექცია,მოსწავლე) მონაწილეობას. კონკრეტული დეტალები და მაგალითები არც ამ შემთხვევაში მოცემული რომელიმე დოკუმენტში. ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ როგორც სემესტრის, ისე სასწავლო წლის ბოლოს, კათედრა ერთობლივად განიხილავს განხორციელებულ აქტივობებსა და სასწავლო პროცესს და თუკი ამ ანალიზის დროს გამოიკვეთება, რომ მოსწავლეებს არ მოეწონათ კონკრეტული აქტივობა, ან გამოთქვეს რაიმე მოსაზრება მის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, ცდილობენ გაითვალისწინონ მყისიერად ან მომდევნო სასწავლო წელს/სემესტრში/ თემაზე მუშაობასისას. რადგანაც სკოლას აქვს გარკვეული ხედვა და გამოცდილება ამ მიმართულებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ **დაწყებითი საფეხურის** ესთეტიკის კათედრის კურიკულუმებში ნათლად გამოიკვეთაბა და კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, სადაც ხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მის შემუშავებაში მთელი სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, მშობელი, დირექცია,მოსწავლე) მონაწილეობს, გასაუმჯობესებლად კი იგეგმება სადამრიგებლო შეხვედრების რაოდენობის გაზრდა და გამრავალფეროვნება, სადაც უკეთ გამოჩნდება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. გასაუბრებისას კი გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, სადაც ხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - -კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,მასწავლებლების პროფესიული მიღწევები,სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა(მაგ.ერთობლივად დაგეგმილი პროექტი - ,,ჩემი სამშობლო საქართველოა“), მშობელთა ჩართულობა ფორმალური და არაფორმალური ხაზით (დავალების ბარათები მშობელთათვის) ასევე განხორციელებული გაკვეთილების რეფლექსიები იძლევა კურიკულუმის განვითარების საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო თემებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე კათედრა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და მეტად აქტიურად ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო” შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების მიერ. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმები შედგენილია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნის მასწავლებლებთან ერთად, ამ პროცესში ჩართულია სპეციალური მასწავლებელიც. ისინი ერთად ადგენენ კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასა და მასზე მორგებულ ადაპტირებულ მატრიცებსა და კომპლექსურ დავალებებს. კითხვარში, ასევე ნახსენებია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს მასწვლებლებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ ამ მიმართულებით მუშაობას და სამომავლოდ უფრო აქტიურად ჩართავენ მშობლებს და მოსწავლეებს კურიკულუმების შედგენის პროცესში. სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ ფორმების დეტალურად განხილვას/გადასინჯვას და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმს შეიმუშავებს კათედრა. კათედრაზე მოხდება მასწვალებლების მიერ კოლეგებთან ერთად წინა წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრები შეთანხმდებია და შეიმუშავებენ კომპლექსური დავალებების ბარათებს, რომლებსაც გაუგზავნიან მშობლებს და მათგან მიიღებენ უკუკავშირს. სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება მოხდება საბჭოზე სასწავლო წლის დაწყებითან რამდენიმე დღით ადრე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - -სასკოლო კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობათ, რომ სასწავლო თემაზე მუშაობის პროცესში საჭიროა გაიმართოს სულ ცოტა კათედრის ერთი სხდომა, სადაც პარალელური კლასის მასწავლებლები წარმოადგენენ საკუთარ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემატურ მატრიცებს და შეთანხმდებიან, რა გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლისთვის; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმები შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, მათში ჩართულია სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი ინდ. სასწ. გეგმები და მათზე მორგებული ადაპტირებული სასწ. მატრიცები. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ჩანს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ბუნებსმეტყველების სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. კურიკულუმი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე გაზიარება ხდება სოც. ქსელების მეშვეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაოფილებულია.

უცხოური ენები - როგორც წინა ინდიკატორების აღწერისას ვახსენე, კურიკულუმების შემუშავებში მეტ-ნაკლებად გათვალისინებულია ყველა მხარის მოსაზრეები (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია) და აქედან გამომდინარე, იგი გაზიარებულია კიდეც საკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრებზე მასწავლებლების მიერ ხდება წინარე გამოცდილების გაზიარება, განხილვა და უკუკავშირი. მშობლებთან გაზიარება ხდება მშობელთა კრებების მეშვეობით და სოციალური ქსელის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - საგნობრივად შემუშავებული კურიკულუმი, ამ ეტაპზე გაზიარებულია მასწავლებელთათვის. აქვე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებულია და არჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რაც განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებას ითვალისწინებს საკლასო და შემაჯამებელ სამუშაოებში, ხოლო სწავლა–სწავლების დიაგნოსტირებისას მეორე ინსტრუმენტის ამოქმედებას გეგმავენ. ამ ეტაპზე იყენებენ, შესასვლელ-გასასვლელ ბარათებს, აკეთებენ ჩანაწერებს და მოკლე ზეპირსიტყვიერ თვითშეფასებას აძლევენ მოსწავლეებს. კათედრაზე ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე გადასვლის სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. მომდევნო სასწავლო წლიდან, მას შემდეგ, რაც სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი გაზიარდება სასკოლო საზოგადოებაში, სკოლა გეგმავს იგი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გაასაჯაროვოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმი არ განიხილება ცალკეულად, რადგანაც სასკოლო საზოგადოება მონაწილეობს მის შექმნაში, შესაბამისად, იგი ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა წევრისათვის, მის განხილვას მოჰყვება შესაბამისი უკუკავშირი, რასაც სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მომდევნო სასწავლო წლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის - ბუნებისმეტყველების - ჩარჩო ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ძირითადად სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით; ასევე რიგ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. ახდენენ საზოგადოებრივ მეცნიერებებში კურიკულუმების შემუშავებას, დანერგვასა და შეფასებას. ერთმანეთთან დიალოგის შემდეგ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე, დანერგვის მექანიზმებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, მე-4 კლასის, ინგლისურიი ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა შექმნან პოსტერი საყვარელ ცხოველზე, სადაც ისაუბრებენ მის ნიშან-თვისებებსა და ცხოვრების სტილზე. ისინი თავად წყვეტენ რომელ ცხოველს აარჩევენ და როგორ გააფორმებენ პოსტერს, ან რა ფორმატს აირჩევენ პოსტერის გასაკეთებლად (თბახაზე, ვორდის ფაილში აწყობილი თუ PPT-ში აწყობილი და .აშ.), რა ინფორმაციას და იტანენ მასზე და ა.შ. ამდენად, მოსწავლეები თავად არიან საკუთარი სასწავლო პროცესის წარმმართველნი და დავალებას ასრულებენ საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მსგავსადაა აგებული ინგლისურის ენის მე-5 კლასის კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც მოსწავლეებმა უნდა შექმნან პოსტერი საყვარელ დღესასწაულთან დაკავშირებით; რუსული ენის ერთ-ერთი კომპლექსურის დავალების პირობის მიხედვით (კლასი V), მოსწავლეებმა ციფრული რესურსის ‘’ვსწავლობთ თამაშით’’ გამოყენებით უნდა შექმნან ილუსტრაცია ჩემი საყვარელი სეზონი და ა.შ. თითქმის ყველა კომპლექსური დავალება არის მსგავსი ტიპის. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი შუაგორას საჯარო სკოლაში, დაწყებით საფეხურზე მოსწავლე ნამდვილად არის სწავლის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი წლიური პროექტი ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა- სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - დაწყებითი საფეხურის 2-6 კლასების კურიკულუმები აიგება მოსწავლეთა წინა წლის შედეგების გათვალისწინებით. თემები იმ ფორმით არის დალაგებული, რომელიც იძლევა საშუალებას მოსწავლემ ააგოს ცოდნა კონსტრუქტივისტილი პარადიგმის დაცვით, იქვე შემოთავაზებულია კონტექსტ მაგალითები და კომპლექსური დავალების იდეები, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ პროცესები სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებელია წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - დაწყებითი საფეხურის მიერ (ქართული) წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს (მოთხრობა, იგავი, წერილი, კომიქსი, რეკლამა, პოსტერი), რომელთა საშუალებითაც ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხთან მიმართებით. დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასი) სრულყოფილად არის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო. პირველ და მეორე კლასში ელოდებიან ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ამიტომ კურიკულუმი წარმოდგენილია ერთი თემის ფარგლებში. კათედრას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს. სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად, რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - მასწავლებლიების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. სკოლიში ფიზიკური აღზრდაში დაწყებით საფეხურის 1-6 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს,რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, სრულყოფილად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საგნების (ბუნებისმეტყველება) სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, ყველა თემაში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმით ირკვევა, რომ ისინი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება (პიროვნება, საზოგადოება, ზრუნვა, ინსტიტუცია, ცვლილება) საგანში „მე და საზოგადოება“. „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში მუშავდება სამიზნე ცნებები (სივრცე, მეურნეობა, დრო,ცვლილება, საზოგადოება, მრავალფეროვნება, სახელმწიფო). კომპლექსური დავალების პირობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავოს კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარები. ყოველივე ეს სიღრმისეული სწავლების პრინციპებს მიესადაგება. საგნობრივი კურიკულუმები მიმართულია მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი შუაგორას საჯარო სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ:

1. **გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.**

წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. კერძოდ:

შემოქმედებითობა- აღნიშნული ფუნქციური უნარის განვითარების ხელშეწყობა ხდება, როდესაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან პოსტერები სხვდასხვა თემებზე (საყვარელი ცხოველი, დღესასწაულები), დაწერონ საგაზეთო სტატიები თუ ილუსტრირებული ტექსტები სხვდასხვა თემატიკაზე (ზამთრის არდადეგები, სამოგზაუროდ წასაღები ნივთები/ტანსაცმელი), დახატონ საყვარელი მულტფილმის ან საბავშვო ფილმის მთავარი მოქმედი გმირები და წარადგინონ პრეზენტაციის სახით, შექმნან საოჯახო ხე და ისაუბროს საკუთარი ოჯახის წევრებზე და ა.შ.

კრიტიკული აზროვნება - როგორც პირველი კრიტერიუმის აღწერისას ვახსენე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, მე-4 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით მოსწავლეებმა ტურისტებისთვის უნდა დაამზადონ ბუკლეტი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ. ამისათვის მოსწავლეს დასჭირდება დაფიქრდეს თუ რომელი გამორჩეული ადგილებია მის ქალაქში, რომელი მათგანის შეტანა იქნება უფრო საინტერესო ბუკლეტში და რატომ, უნდა მოიძიოს გარკვეული ინფორმაცია ამ ადგილების შესახებ, დაამუშაოს იგი და გამოყოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოსწავლე, ასევე, უნდა დაფიქრდეს ბუკლეტის დიზაინზე და გადაწყვიტოს როგორ გააკეთოს იგი - თაბახზე, ვორდის პროგრამით თუ სხვა მისთვის უფრო მოსახერხებელი ვერსიით და ა.შ. ტექნიკური საკითხების გარდა, მოსწავლემ უნდა აარჩიოს სათანადო ლექსიკური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გრამატიკული ერთეულები, გაითვალისწინოს ტექსტის ფორმატი და მისი მახასიათებლები. როგორც ვხედავთ, მოსწავლეს უწევს რამდენიმე ასპექტის გაანალიზება და ერთმანეთთან დაკავშირება საბოლოო პროდუქტის მისაღებად და ამდენად, აღნიშნული დავალება მოსწავლისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას. კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს რუსული ენის მე-6 კლასის კომპლექსური დავალებაც, რომლის ფარგლებშიც მოსწავლემ უნდა შექმნას კომიქსი სახელწოდებით ''მდინარეზე''. ამისათვის მან უნდა წარმოიდგინოს სცენა მდინარის პირას და გადაწყვიტოს რა სცენას/სცენებს დაიტანს კომიქსში- მდინარეში მოცურავე ბავშვებს, მდინარის ნაპირზე მყოფ ბავშებს, რომლებიც თამაშობენ, ან მიირთმევენ საკვებს თუ სხვა რომელიმე კონკრეტულ სცენას. მან ასევე უნდა მოიფიქროს კომიქსის დიზაინი და ფორმატი, შეარჩიოს სწორი გრამატიკული და ლექსიკური ერთეულები, ტექსტები(მოკლე წინადადებების სახით), რომლის გამოყენებაც კომიქსში უნდა და ა.შ. მოსწავლე ასევე, უნდა დაფიქრდეს რამდენად შეუძლია მას კომიქსის აწყობა/ გაფორმება და თუ არ შეუძლია, როგორ გადაჭრას არსებული პრობლემები. როგორც ვხედავთ, მოსწავლეს უწევს საკმაოდ ბევრი ფაქტორის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება და დასკვნების გამოტანა და ამდენად ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც.

კომუნიკაცია - როგოც ვიცით აღნიშნული გლობალური უნარი მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელობას, კონტექსტუალიზებას და გამოხატვის რელევანტური საშუალების შერჩევას (ვერბალლური/არავერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევთ კომპლექსური დავალებების წარდგენა პრეზენტაციების სახით, კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ელემენტების შერჩევა იქნება ეს მეტყველების ტემპი, ინტონაცია, მახვილი თუ ჟესტიკულაცია. ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა ემპათიის უნარის განვითარებასაც, რადგან მოსწავლეები აკეთებენ თვით რეფლექსიას კომპლექსური დავალებების დასრულებისას და ასევე მისი განხორციელების ეტაპების დროსაც. როგორც ვხედავთ, ფუნქციური უნარის, კომუნიკაცია, განვითარებას ხელს უწყობს შუაგორას საჯარო სკოლის უცხოური ენების კურიკულუმები და სასწავლო პროცესი.

კოლაბორაცია - უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები არის ინდივიდუალურად შესასრულებელი, თუმცა კათედრას წარმოდგენილი აქვს რამდენიმე პროექტი, სადაც მოსწავლეებს უწევდათ ერთობლივად მუშაობა საერთო პროდუქტის შესაქმნელად. მაგალითად განვიხილოთ პროექტი ''ქალთა დღე და დედის დღე'', სადაც მოსწავლეები გადანაწილებულები იყვნენ ჯგუფებად და უნდა წარედგინათ პრეზენტაციები ხსენებულ თემასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნავდნენ თუ რატომ იყო საჭირო ან არ იყო საჭირო დედის დღის და ქალთა დღის აღნიშვნა, როგორ აღინიშნებოდა ისინი სხვადასხვა ქვეყნებში და ა.შ. ჯგუფის წევრებს გადანაწილებული ჰქონდათ პასუხსიმგებლობები და საბოლოოდ წარადგინეს ერთობლივი POWER POINT-ის პრეზენტაციები, რომლებიც გაფორმებული იყო მუსიკალურად და ვიზუალურად. მსგავსი ტიპის ერთობლივ მუშაობას მოითხოვდა ყველა სხვა პროექტებიც და შესაბამისად, ხელი შეეწყო საერთო პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას საკითხის საკვლევად და შესასწავლად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებასაც.

მოქალაქეობა - წინა კრიტერიუმის აღწერაში მოყვანილი ფაქტები, ასევე არის დასტური იმისა, რომ მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც იმდენად, რამდენადაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ.

ხასიათი/ნებელობა - როგორც ვიცით ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას, სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. ასევე, თვით აქტუალიზაციას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს ყველა ზემოთ ხსენებულ პროცესს იმდენად, რამდენადაც კონკრეტული თემის ფარგლებში მოსწავლეები თავად წყვეტენ რა ასპექტებს განიხილავენ ამა თუ იმ დავალების ფარგლებში, როგორი დიზაინისა და ფორმატის პოსტერს გააკეთებენ, არჩევენ შესაბამის ენობრივ სტრუქტურებს იქნება ეს გრამატიკული თუ ლექსიკური, საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს და მასზე დაყრდნობით მიდიან საბოლოო პროდუქტამდე, ანაწილებენ დროს და ა.შ. ამდენად, ხასიათისა დ ნებელობის უნარის განვითარება ხელშეწყობილია უცხოური ენების კურიკულუმების ფარგლებში.

რაც შეეხება **მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებსა და შედეგებს**, უცხოური ენის კურიკულუმები ნამდვილად უწყობს ხელს თითოეული მათგანის განვითარებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების უმეტესობა მათ სთხოვს პრეზენტაციის გაკეთებას, რაც თავისთავად მოიაზრებს საუბარს და ამდენად გადის შემდეგ სამიზნე ცნებებზე/ქვეცნებებზე: ფუნქციური სამეტყველო ქმედებები, კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, ლექსიკა, გრამატიკა. ზოგიერთი კომპლექსური დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს საყვარელი მულტფილმის ან საბავშვო ფილმის შინაარსის დაწერას (კლასი IV, ინგლისური ენა), წერილის მიწერას სხვდასხვა საკითხებზე (კლასი V, ინგლისური ენა), საგაზეთო სტატიის დაწერას (კლასი V, ინგლისური ენა),ილუსტრირებული ტექსტის შექმნა (კლასი V, რუსული ენა) და ა.შ. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას და გადის შემდეგ სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე: სამიზნე ცნებები - :ტექსტი (ტექსტის სტრუქტურა), სამეტყველო ქმედება (კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, წერის სწავლის სტრატეგიები), ენობრივი საშუალებები(გრამატიკა, ლექსიკა) შედეგები - Iუცხ.დაწყ.(I)6, Iუცხ.დაწყ.II. 4. წარმოდგენილი კურიკულუმები ხელს უწყობს კულტურათა დიალოგის სამიზნე ცნებისა და შედეგების დაფარვასაც. მაგალითად მე-6 კლასის რუსული ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალებაა პრეზენტაციის წარდგენა მულტფილმის/ზღაპრის გმირების აღნაგობასა და მათ შორის არსებულ მსგავსება/განსხვავებებზე. აღნიშნული დვალებით მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ სხვა ქვეყნის მულტფილმებს და მოახდინონ მათ გმირების შედარება. კულტურათა დიალოგის მიმართულებით მუშაობას უწყობს ხელს მე-4 კლასის ინგლისური ენის კომპლექსური დავალებაც, რომელიც მოსწავლეს სთხოვს საინფორმაციო ტექსტის შედგენას იმ ქვეყნის შესახებ, სადაც მოგზაურობა სურს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრეზენტაციისას უნდა დაასახელოს ამ ქვეყნის დედაქალაქი, ენა, რომელზეც საუბრობენ მისი მაცხოვრებლები, აღწეროს ქვეყნისთვის დამახასიათებელი და ა.შ. ამდენად, მოსწავლეები გაეცნობიან სხვა ქვეყნებს და ხელი შეეწყობა კულტურათა დიალოგის შედეგების მიღწევას. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს (შედეგები: Iუცხ.დაწყ.(I)1,2,3), რომლებიც კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას მიემართება, ვფიქრობ, ხდება მათი დაფარვაც, რადგან მოსწავლეებს უწევთ ტექსტებზე მუშაობა და მისი გააზრება სხვდასხვა აქტივობისთვის. მაგალითად, ზემოთ ხსენებული საინფორმაციო ტექსტის შესადგენად, მათ ჯერ უნდა დაამუშაონ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი და მის მსგავსად ააგონ საკუთარი. გარდა სახელმძღვანელოს ტექსტისა, მათ დასჭირდებათ სხვდასხვა ინფორმაციის მოძიება და დამუშავება რათა ისაუბრონ სასურველი ქვეყნის შესახებ და გააცნონ იგი თანაკლასელებს. მსგავსი პროცესებია საჭირო თითქმის ყველა კომპლექსური დავალების შესასრულებლად და ამდენად, ხელი ეწყობა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, კრიტერიუმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მუსიკის საგნის კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება შევსებულია სწორად. ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეა. **დაწყებით** სახეფურის კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმები გვაფიქრებინებს რომ კათედრას სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი და აქვთ მზაობა კურიკულუმებები დახვეწონ და წარმოადგინონ მომავალში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ვინაიდან საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება კომპიუტერული ტექნოლოგიების განსაზღვრულ სამიზნე ცნებაზე, ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. წარმოდგენილი კურიკულუმები გვაფიქრებინებს, რომ კათედრას სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი .**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - დაწყებითი საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, კომუნიკაცია)მტკიცებულებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ბარათი(ინტეგრირებული კომპლექსური დავალება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქართული,მათემატიკა) ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისუბრეს კომპლექსური დავალების განხორციელების შესახებ.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საკითხი, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება კურიკულუმების კიდევ ერთხელ გადახედვა და დახვეწა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ ფუნქციურ კომპონენტური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლის მიერ წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ ისგ-ს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (პრეზენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოსტერით ან PPT-ით; რუსული ენა, კლასი-V, თემა N3), სსმ მოსწავლეებისთვის აქვთ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალებების გამარტივებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის, თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. ინტერვიუს დროს არ უხსენებიანათ როგორ ახდენენ დიფერენცირებას იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც არ აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. სასურველია, უცხოური ენების კათედრამ ამ მიმართულებით დაიწყოს მუშაობა და შეიმუშაონ გარკვეული სტრატეგიები, მეთოდები რომლებსაც სამომავლოდ გამოიყენებენ, რადგან დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება საჭიროა არა მარტო სსსმ, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეებთანაც. მიუხედავად ამ ხარვეზისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით და გამოთქვამენ მზაობას იმუშაონ აღნიშნული მიმართულების გაუმჯობესებაზე. ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ სასწავლო პროცესში გათვალისწინება ხდება ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მოხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება. თითოეული მათგანის შესაძლებლობაზე იქნება მორგებული თითოეული კომპლექსური დავალება - სასწავლო პროცესის და საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება. მოხდება მრავალფეროვანი რესურსების და აქტივობების გამოყენება. გავთალისწინებული იქნება ყველა ტიპის საჭიროების მქონდე მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. სკოლის სამუშაო ჯგუფი (შემდოგომში ისგ ჯგუფი) უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და მისი განხორციელების ხელშეწყობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლას შექმნილი და მოწოდებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების ამსახველი დოკუმენტი. სკოლაში შექმნილია ისგ-ის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სსსმ მოსწავლის საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ ჩანდა, როგორ ახდენენ კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას, თუმცა ინტერვიუს დროს ისაუბრეს ამაზე და შემდგომ მომაწოდეს ისგ გეგმის ნიმუშიც. კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგი შეისწავლის მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავს სასწავლო პროცესს. იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, აძლევს მოსწავლეებს პროდუქტის ფორმის არჩევანის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლას გააჩნია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სსსმ მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდება საგანმანათლებლო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს აღნიშნეს ვერბალური, ანალიტიკური პრეზენტაციისა და სხვა რუბრიკების გამოყენება.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კერძოდ: მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. ამას ადასტურებს მათი მერ, დამატებით დოკუმენტებში, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმებიც (მაგალითად:.ფუნქციური გამონათქვამები გამოყენება ინტერაქციისთვის, ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების დაცვა და ა.შ). ზემოთ თქმულის გარდა, ასეთი მიდგომით, უზრუნველყოფილია საკითხის სიღრმისეული შესწავლა, მოსწავლე არის აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. უცხოური ენების ე.წ. ''რესურს 12''-ში ნახსენებია, რომ უცხოური ენების კათედრას, ამ ეტაპზე, აქვთ განმსაზღვრელი შეფასების ორი რუბრიკა და გეგმავენ მათი რაოდენობის გაზრდას მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე. კათედრამ, დამატებით დოკუმენტებში, უკვე წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე დამატებითი რუბრიკა, რომლებიც ნამდვილად მიემართება გრძელვადიან მიზნებს (წინადადებაში გრამატიკული საკითხების ცოდნის წარმოჩენა, ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების დაცვა და ა.შ) ამავე დოკუმენტის მიხედვით, სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებსაც, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეებიც ჩართულნი არიან შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ მუშაობას და სახავენ გაუმჯობესების გზებს. ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოება, რომელიც მიემართება გრელვადიან მიზნებს. ხელოვნების და მუსიკის საგანში წარმოდგენილი არ არის შეფასების რუბრიკები, თუმცა, მასწავლებლებთან გასაუბრების შემდგომ დადგინდა, რომ ესმით საკითხი და გეგმავენ ამ საკითხის განვითარებას. კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოხდება განმავითარებელი შეფასების წარმოება და მიეცემათ მოსწავლეებს უკუკავშირი. პედაგოგები მოახდენენ მოსწავლეების შედეგების გამჯობესებას. შეფასებებსი განსაზღვრა მოხდება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებთან მიმართებაში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - საგნობრივად არ არის მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა შემაჯამებელი დავალებების ანგარიშში არის შეფასების რუბრიკა მოცემული, სადაც თემის ფარგლებში ახდენს იმ შეფასების ინდიკატორებზე ორიენტირება რისთვისაც აუცილებელია მოსწავლის გრძელვადიან მიზნებთან მიმართები შეფასდეს ცოდნა და უნარები. ასევე ისგ გეგმაშია წარმოდგენილი გრძელვადიან მიზანზე ორიენტაცია. კომპლექსური დავალების ფარგლებში კი ხდება ფაქტობრივი ცოდნის პროცედურულში და პირობისეულში გადატანა. ინტერვიურებისას ნათელი გახდა, რომ განმავითარებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებისას მიმართავენ ზეპირ კომენტარს. .როგორც აღნიშნეს სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ შექმნან კურიკულუმში წარმოდგენილი თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -.სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ძირითადად, იყენებდნენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს (წაკითხულის გააზრების, პრეზენტაციის, ჩართულობის და სხვ). განმავითარებელი შეფასებისას მიმართავენ ზეპირ კომენტარს,იშვიათად წერილობითს.როგორც აღნიშნეს სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ შექმნან კურიკულუმში წარმოდგენილი თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო გარემოს, სწავლების პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და შესაძლებლობებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე არსებული ცოდნის გამოყენებას რეალურ სიტუაციაში. მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსწავლის პროგრესს. დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორიცაა შუქნიშანი, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - ფიზიკურ აღზრდაში დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, თემებთან და დაგეგმილ კომპლექსური დავალებებთან შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ. კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასება, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან, ოფლაინ შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებათა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები იყენებენ წინარე გამოცდილებას, გამოკვეთენ იმ კომპლექსურ დავალებებს, რომლებმაც გამოიწვიეს მოსწავლეთა დიდი ინტერესი, გამოყოფენ იმ აქტივობებს, რომლებიც მათ უკეთ დაეხმარა გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს. ინდიკატორი **„შესაბამისობაშია“** სტანდარტთან.

უცხოური ენები -სკოლას წარმოდგენილი არ აქვს რაიმე დოკუმენტი, რომელიც ასახავს წინარე გამოცდილების ანალიზის გამოყენებას კონკრეტული ასპექტის დაგეგმვაში, თუმცა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ წინა წლის წარმატებული პრაქტიკა და მუშაობენ სუსტი მხარეების გაუმჯობესებაზე. კათედრას ამ მიმართულებით სჭირდება უფრო მეტი მუშაობა, თუმცა აქვთ გარკვეული გამოცდილება და მზად არიან გააუმჯობესონ მუშაობა ამ კუთხით. ამ ეტაპზე, შეგვიძლია ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის აგებისას მოხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება, მასში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. შეფასდება ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოიკვეთება შესაძლებლობები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - კათედრის წევრმა ინტერვიუში განაცხადეს, რომ ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აკეთებენ მონიტრინგსა და შეფასებას, ხოლო შემდეგ რევიზია- გადასინჯვას. ეს ეხმარება მათ, დაადგინონ კლასების სპეციფიკა, შესაძლებლობები, საჭიროებები.მათი გათვალისწინებით გაგრძელდება და დაიხვეწება კურიკულუმზე მუშაობა. კათედრაზე ეს ანალიზი ძირითადად ზეპირი ფორმით მიმდინარეობდა , კათედრების სხდომებსა თუ სასკოლო საზოგადოების შეხვედრებისას, თუმცა სამომავლოდ შეიმუშავებენ წერილობითი ფორმის ანალიზს, რათა მეტად თვალსაჩინო, ვალიდური და გამჭვირვალე იყოს ეს პრაქტიკა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ის, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, პრაქტიკული გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი ,გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კათედრის კოორდინირებულმა მუშაობამ ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აზრი, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია, წინარე საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმონ სწავლა/სწავლების პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე;
- კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- კურიკულუმები;
- პროექტის განხორციელების ამსახველი დოკუმენტები ;
- განმავითარებელი-შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება) საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, პედაგოგები საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. შესაბამისად,მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრების მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეთა ჩართულობას უწყობს ხელს. დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მათ უვითარდებათ შემოქმედებითი უნარი. აქტივობები დაგეგმილია სწორად და მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - წინა ინდიკატორების აღწერისა და დასაბუთების ნაწილში უკვე ვახსენე, რომ მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, საგაზეთო სტატიის დაწერა თუ დიალოგის შედგენა. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, კათედრას წარმოდგენილი აქვს ორი პროექტი, ''ქალთა დღე და დედის დღე'', და ''პატარა სხეულის დიდი ძალაუფლება''. ეს უკანასკნელი ხორციელდებოდა ორ სკოლას შორის და საერთო ჯამში ორივე პროექტი დატვირთული იყო სხვდასხვა აქტივობებით. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს რამდენიმე სოციალური და სასწავლო პროექტი (''ჩვენც დავბერდებით'', ,,ჩემი სამშობლო-საქართველოა''). მართლია ზოგიერთი მათგანი არის საბაზო და საშუალო საფეხურის, მაგრამ არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ რომ სკოლაში მოსწავლეები ჩართულნი არიან აქტიურ და შემოქმედებით პროცესებში და სკოლას აქვს აქტიური სასწავლო პროცესების წარმართვის როგორც მზაობა, ისე გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმენზე დაყრდნობით ხერხდება სასწავლო პროცესის დანახვა. სადაც მოსწავლე ეცნობა და ამუშავებს ახალ ინფორმაციას. ხდება ახალი ინფორმაციის სხვადასხვა კონტექსტში დანახვა. აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს და მონაწილეობას იღებს დისკურსიებში, მსჯელობაში. შერჩეული აქტივობები განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და მასში აძლიერებს თავდაჯერებულობას, მოტივაციას. თითოეული პროცეში ააქტიურებს მოსწავლეს და ორიენტირებულია მის განვითარებაზე. შესაბამისად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, რაც – მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - მასწავლებლები სწორად და გააზრებულად გეგმავენ სასწავლო პროცესს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ პროცესებში ჩართულობას, ხშირად უწევთ გაკვეთილის გეგმიდანაც გადახვევა,თუკი ამას მოსწავლეთა ინტერესები მოითხოვს,სასწავლო პროცესში მიმართავენ სახალისო აქტივობებს,რაც ემსახურება არა მხოლოდ მათ აქტიურ ჩართულობას,არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რაც მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - 1-6 კლასის დაწყებით საფეხურის კურიკულუმები და მაში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ისევე როგორც დაწყებით საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კათედრის მასწავლებლები ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს, რითაც სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგანაც ითვალისწინებს მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესებს და მოთხოვნილებებს. ხდება გარკვეული უნარ-ჩვევათა გამომუშავება. უკავშრებენ ახალ იდეებს, არსებულ ცოდნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ როდესაც ახალ მასალაზე გადადიან, პირველ რიგში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ამის შემდეგ აანალიზებენ რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს სამიზნე თემის ირგვლივ და ცდილობენ მასზე დაყრდნობით ეტაპობრივად გადავიდნენ ახალ მასალაზე. ამ კუთხით ნათელი სურათის მომცემი იქნებოდა მატრიცები, მაგრამ რადგან სკოლას წარმოდგენილი არ აქვს ისინი, ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუაგორას სკოლაში, უცხოური ენების კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული გამოცდილება და მზაობა ამ კუთხით. ამდენად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება, რომ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტ თემები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების შესრულებისას, ნაცნობი კონტექსტი მას გაუადვილებს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, გაეზარდოს მოტივაცია და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს , რომ ისინი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ , გასაუბრებისას გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება , მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას , გამოცდილებას , ინტერესებს , ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებაში , სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს , თემას , მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვთ ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება.წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა , მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს ,კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე ,შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებთან მოწოდებული დოკუმენტაციით და გასაუბრებით გაირკვა,რომ სწავლა გულისხმობს მნიშვნელობის წვდომას. მასწავლებლები ისე წარმართავ სასწავლო აქტივობებს, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები კარგად გაიაზრონ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- პირველი ინდიკატორის კრიტერიუმების აღწერისას ვახსენე, რომ მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც და შესაბამისას, შეგვიძლია ვთქვათ რომ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე. სკოლა აქცენტს აკეთებს სწავლა სწავლების 5 პრინციპზე და ყურადღებას ამახვილებს პრინციპზე - სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე- იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - დოკუმენტურად წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენას ძლევა. გასაუბრებაზე კოლეგებმა გამოხატეს მზაობა იმისა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ყურადღებას აქცევენ და მიაქცევენ, სწავლების ისეთ მეთოდოლოგიას, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს საწავლის-სწავლების უნარებს, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის აქტივობები, სადაც მოსწავლე შემოქმედებით პროცესებში არის ჩართული. ეს საგნიდან გამომდინარე არ წარმოადგენს სირთულეს. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში კომპიუტერზე ან რიგრიგობით. ყველა მოსწავლე ასრულებს დავალებას პედაგოგის განმარტებით (არ ყოფნით სკოლაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად ,რა ცოდნამ ,გამოცდილებამ ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება ,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ მოსწავლეებმა ნამუშევრის წარდგენის შემდეგ თანატოლების წინაშე ისაუბრეს აღნიშნული დავალების შექმნის პროცესზე , დეტალურად გაანალიზეს თითოეული ნაბიჯი , სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი , რასაც , შესაბამისად , მოჰყვა უკუკავშირი , როგორც თანაკლასელებისაგან , ისე მასწავლებლისგანაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, რასაც ხელს უწყობს თვითშეფასების ბარათები, რეფლექსიური ტიპის შეკითხვები პრეზენტაციის დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს ბუნებისმეტყვეების საგანში შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საგნების „მე და საზოგადოებასა“ და „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. დეკლარატიულის დროს ფაქტობრივი ცოდნის მიღებაა, პროცედურულის დროს მოსწავლეების მოქმედებენ აქტივობებით, ხოლო პირობისეულის შემთხვევაში უკავშირებენ ცხოვრებისეულ კონტექსტს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები (კომპლექსურის სახით) მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით (ინგლისური ენა, მე-4 კლასი), მოსწავლემ უნდა გააკეთოს პოსტერი საყვარელ ცხოველზე, ამისათვის მას დასჭირდება, გაიხსენოს ბუნებაში ნასწავლი გარკვეული ფაქტები ცხოველებზე და ინგლისური ენის დავალებისთვის გამოიყენოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რასც დავალების პირობა სთხოვს. მან, ასევე, უნდა გაიხსენოს თემის ფარგლებში ან/და მანამდე ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები და მიხვდეს რომელი მათგანი სჭირდება ცხოველებზე პოსტერის შესაქმნელად. როგორც ვხდეავთ, მოსწავლეებს ფაქტობრივი ცოდნის გარდა სჭირდებათ მისი პირობისეული გამოყენებაც. ყველა კომპლექსური დავალებისთვის მოსწავლეს დასჭირდება მსგავსი პროცესების გავლა და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ხელოვნების საგნის თემატურ მატრიცებში მოცემული აქტივობების შეკითხვებიდან გამომდინარე იკითხება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. დანართებში წარმოადგენილი სხვა საგნის რუბრიკებზე დაწყრდნობით მეტნაკლებად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლა ეროვნულ სასწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს სხვადასხვა წყაროებიდან. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინსტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. აღნიშნული კი რეალიზდება როგორც კომპლექსური ბუნების დავალებებით, ისე პროექტული სწავლების რეალიზებისას ამ საფეხურზე, საგანი კი ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.შეხვედრისას მასწავლებლებმა ისაუბრეს და მოსწვლეთა ნამუშევრები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - დაწყებით საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით,ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ცოდნათა ურთიერთდაკავშირება კარგად ჩანს დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურიკულუმებში. აქ გამოკვეთილია სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, ასევე კონკრეტული ქვეცნება, ქვესაკითხი, ხდება მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება,რაც ზრდის მოსწავლის გააზრების უნარს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- მე-4 კრიტერიუმში მოყვანილი მაგალითიდან, ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, იმდენად რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლის მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად. გარდა კომპლექსური დავალებებისა, უცხოური ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული პროექტი ბიოლოგიასთან და კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის აღზრდის კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება რასაც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამყარებს. პედაგოგებმა ინტერვიურებისას ასევე ისაუბრეს, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება, რასაც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამყარებს.

ტექნოლოგიები - საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - შემუშავებული კურიკულუმები მეტწილად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლება, რომელიც ითვალისწინებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- კურიკულუმები დაწყებითი საფეხურისთვის;
- პროექტების ამსახველი დოკუმენტაციები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის ბუნბისმეტყველების საგანში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების დამუშავება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით მკვიდრი წარმოდგენების ქვეცნებების და ქვესაკითხების დამუშავებით კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც ასახულია კურიკულუმის შესაბამის ჩარჩოში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი და შესაბამისად აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონრეტულ საკითხს, მაგალითად ისწავლონ ხილსა და ბოსტნეულთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული დროის ფორმები და ამბის თხრობა, ისწავლოს ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები და ა.შ. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შუაგორას სკოლაში, უცხოური ენების ფარგლებში, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..**

ესთეტიკური აღზრდა- სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, რის მიხედვითად სკოლა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ განხორციელებული კომპლექსური დავალებებით სამიზნე ცნებებსა და მოახდინონ მკვიდრი წარმოდგენების გააზრება. წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. პროცესს არ ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება განმავითარებელი რუბრიკების მეშვეობით.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - საგანი კომპიუტერული ტექნოლოგიები ისწავლება მხოლოდ სწავლების დაწყებითი საფეხურზე. სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს საფეხურის, საგნობრივი სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავითარების გზა. იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები. პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესი მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.მასწავლებლებმა სამომავლოდ უნდა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალებები , რომლებიც განსაზღვრავს იმ ცოდნას , რასაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს და ახალი სასწავლო წლიდან შეიტანონ ცვლილებები თემატურ მატრიცაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაწყებითი საფხურის მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მეტწილად განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - დაწყებით საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი, კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას დაწყებითი საფხურის მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მეტწილად განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება : ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, ქმნიან პროდუქტს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს უწევთ ურთიერთთანამშრომლობა და უვითარდებათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ზემოთ ხესენებული პროექტები (ჰომბურგის გიმნაზიასა და ფრაიბერგის კოლეჯთან თანამშრომლობის ფარგლებში) გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სხვა კულტურის წარმომადგენლებთანაც (დიასპორების შესწავლისას) ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვითმართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. აღნიშნული უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავთიარბელელი შეფასებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებები, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები. 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, განვითარებასა და პიროვნულ ზრდას, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტით. წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ხდება საგნობრივი საკითხების გააზრება, რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ არაფორმალური განათლება და პროექტებით სწავლება უკვე დაწყებულია. აპირებენ ამ მიმართულებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადონ სწავლების პროცესი და სამომავლოდ პროექტებს განახორციელებენ მეტ საგანში. შესაბამისად, ეს პროცესი შეუწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, დაგაგმონ და განახორციელონ ისეთი აქტივობები, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.მაგ-თხზულების დაწერა თემაზე-რას ვფიქრობ საკუთარ თავზე,წიგნის,მულტფილმის მიმოხილვა, ,,პერსონაჟის სკამი.“**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლაში დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, თუმცა ჯერ არა აქვთ შექმნილი შეფასების რუბრიკები. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით,აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას, დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე პირველი კლასიდან მეხუთე კლასის მეორე სემესტრამდე მოსწავლეები ფასდება განმავითარებელი შეფასებით. მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და 6 კლასში როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებით. მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ყველა თემის ფარგლებში შეიმუშავონ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერბიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. წარმოდგენილი რუბრიკებითაც ჩანს რომ მოსწავლეები ფასდებიან ჰოლისტურად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას, ნაცვლად ესთეტიკის კათედრისა, წარმოდგენილი აქვს სხვა საგნების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აქვს ამ მიმართულებით გამოცდილება. გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებიბის გაწერას, აქვთ გააზრებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნები და დანიშნულება, მისი მნიშვნელობა. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - რაც შეეხება შეფასების სისტემას სკოლამ არ წარმოადგინა ტაქსონომიით გაწერილი შეფასების რუბრიკები, მაგრამ გამოთქვეს მზაობა შეფასების შესაბამისი რუბრიკების შექმნისა. სკოლაში მათემატიკის კათედრასთან და ინტერვიურებისას მათემატიკის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ იყენებდნენ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, შესბამისად მოხდება თანამშრომლობა და შეფასების მექანიზმის დახვეწა. გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებიბის გაწერას. .**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა კათედრას აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ასევე რამდენჯერმე გამოიყენეს მოსწავლის სოლო -ტაქსონომიით შეფასების მეთოდი, თეორიულად გათავისებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მექანიზმი,ახალი სასწავლო წლიდან შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სამიზნე ცნებებთან მიმართებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. ასევე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10- ქულიანი შეფასების სისტემა მე-5 და მე-6 კლასებში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება. სიტყვიერი კომენტარები მიმართულია წახალისება-დაზუსტება-რჩევის მიცემისკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - შეფასების სისტემა არის სანდო, იმდენად რამდენადაც კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. მაგალითად,'' მოსწავლე სწორად იყენებს გრამატიკულ საკითხებს წინადადებაში'', '' მოსწავლე წარმოთქვამს გარკვევით,ინტონაციით, პაუზის დაცვით'', ''პრეზენტაციისას მოსწავლე იცავს დროის ლიმიტს'' და ა.შ. არის ზოგიერთი კრიტერიუმი რომელიც შეიძლება სხვდასხვანაირად გაიგოს შემფასებელმა. მაგალითად, '' გრამატიკული საკითხების გამოყენებაში დაშვებულია რამდენიმე შეცდომა ''. ერთმა მასავლებელმა შესაძლოა რამდენიმე შეცდონაში მოიაზროს 3-4 შეცდომა, ხოლო მეორემ 6-7 და ა.შ. და ამდენად შეფასება პარალელურ კლასებში ვერ იქნება ვალიდური და სამართლიანი. ლარგი იქნება, რუბრიკებში დაკონკრეტდეს შეცდომების დაშვების მაქსიმალური რაოდენობა კატეგორიების მიხედვით. მაგალითად, ''რამდენიმე შეცდომა''-ის გვერდით დაიწეროს მაქსიმუმ 4 ან 5 და.შ. მასწავლებლის შეხედულებისამებრ გონივრულ ჩარჩოში. რაც შეეხება შეეხება გამჭვირვალობას, მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თქმით რუბრიკები გამოკრული აქვთ საკლასო ოთახში, ასევე აცნობენ წინასწარ და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არის გამჭვირვალე. თვითშეფასების კითხვარშიც ნახსენებია, რომ რუბრიკები ცნობილია მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. ზემოთ ხსენებული ხარვეზის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებს და მისაღწევს შედეგებს. შეფასება უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას. სასკოლო შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა: სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. ხარისხის გაუმჯობესება უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - თითოეული მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მმიზნებთან მიმართებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში გვხვდება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემაჯამებელ დავალებების მე-5 და მე-6 კლასის ნიმუშები . მასში ნაჩვენებია მოსწავლეების შეფასება და შედეგების ანალიზი, ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კათედრას აქვს მზაობა, მათ მიერ განხორციელებული შეფასებები იყოს ვალიდური და სანდო. ინტერვიუდან კი იკვეთება, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას..**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -შეფასების სისტემა გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ,მასწავლებლები მიზნობრივად იყენებდნენ შეფასების რუბრიკებს,სამომავლოდ განსაზღვრული აქვთ სამიზნე ცნებებთან მიმართებით შეფასების სისტემის მექანიზმის შემუშავება,რათა მოსწავლეებმა თავად გაუწიონ მონიტორინგი სწავლის პროგრესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში) შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს ,ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს საბუნებისმეტყველო კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის დირექციასა და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს აქვთ აღებული პასუხისმგებლობა სკოლაში დანერგილ ვერიფიკაციის მექანიზმზე, აკვირდებიან მოსწავლეებს, აანალიზებენ ნამუშევრებს და აძლევენ მასწავლებლებს შესაბამის რეკომენდაციას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -უცხოური ენების შესაბამისობის გეგმაში(ე.წ. რესურსი 12) ნახსენებია რომ ისინი ამ ეტაპზე არ ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, თუმცა აღნიშნავენ რომ მომდევნო წელს იმუშავებენ ამ მიმართულებით, დახვეწავენ არსებულ მექანიზმს და წელიწადში ორჯერ (ნოემბერი-მარტი) ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს. ნამუშევრებიდან დააკვირდებიან ყოველი მესამე ან მეხუთე მოსწავლის ნამუშევარს და შეავსებენ ანგარიშის ფორმას. დაწყებით საფეხურზე სკოლაში მოსწავლეთა შეფასების მონიტორინგი ხორციელდება სკოლაში არსებული მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ელექტრო ჟურნალების გამოყენებით. რადგანაც სკოლა გამოთქვამს მზაობას, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაშია, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით ფასდებიან. ინტეერვიუს დროს

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო წლის ბოლოს ხდება კათედრების მიერ განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომელშიც ჩართულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მასწავლებლები, მსჯელობისას იკვეთება თუ რომელმა მეთოდმა იმუშავა, რა საჭიორებს დახვეწას და რის მოდიფიცირებას აპირებენ. გასაუბრებით დადგინდა,რომ კურიკულუმების რევიზია გააუმჯობესებს შეფასების პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, მომავალ წელს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში სკოლა დაეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, რაც დაეხმარება მათ ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ყურადღებას გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელენენტზე. მათ მიერ შექმნილი მექანიზმი უპასუხებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება; სასწავლო პროცესის გაუმჯობესება წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით; ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვაში; პასუხისმგებლობის გადანაწილებას სასკოლო საზოგადოებაზე და ა.შ. ამდენად, სკოლას აქვს მზაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის წარმომადგენელი პედაგოგები გეგმავენ შექმნან კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა მხარდამჭერი პაკეტი, სადაც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება. მომავალი სასწავლო წლისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააუმჯობესებენ წინარე გამოცდილებას, მოხდება ძლიერი და სუსტი ფაქტორების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები --თვითშეფასების ნარატივისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც გაითვალსიწინებს დაგროვილი გამოცდილების ანალიზს,. კათედრები შეიმუშავებენ ახალ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -კურიკულუმში ყურადღება გამახვილებულია სკოლის პრიორიტეტებზე,გამოცდილებაზე,მის ძლიერ მხარეებსა და გამოწვევებზე,დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები კათედრის წევრებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სკოლის განვითარებისათვის.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაწყებითი კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების განვითარება, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ეს მათ აძლევს საშუალებას დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით, როგორც ჩანს მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა, ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს დაწყებით საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრა გეგმავს მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების და შეფასების შედეგების გათვალისწინებით; მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლაში კურიკულუმის შედგენისას კორდინირებულად მუშაობენ საგნობრივი კათედრები, რაც დაფუძნებული იყო წინარე ცოდნის გამოცდილებაზე, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე. სკოლა მზაობას გამოხატავს, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში დამუშავებული კურიკულუმი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურუკულუმის განხორციელებისას მიღებულ გამოცდილებას ავსახავენ მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში საფეხურისა და კლასის დონეზე. კათედრები გაუზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებას, მოძებნიათ აღმოჩენილი პრობლემების გადაჭრის გზებს და იმუშავებენ კოორდინირებულად. რადგანაც სკოლას აქვს მზაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ მოხდება კურიკულუმის გადამუშავება წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით და შესაბამისობაში იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. კოლეგები მოახდენენ გამოცდილების გაიარებას ერთმანეთთან და დაისახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - წლის განმავლობაში მიღებული შედეგების საფუძველზე, კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. სკოლის განმარტებით, სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა -კათედრის წევრების აზრით,მნიშვნელოვანია შეიქმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია,რომელიც დაეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას,კათედრის წევრების რეკომენდაციებს,ურთიერთშეფასებას,ასევე მნიშვნელოვანია მონიტორინგის შეფასების შედეგების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას -კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას. ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა - სკოლა ჩართული იყო პროექტ „ახალი სკოლის მოდელში“. ამ პროექტის ფარგლებში გაიარეს საგნობრივი ტრენინგები,განიხილეს მესამე თაობის ესგ,ქოუჩების დახმარებით შეიმუშავეს კურიკულუმი. მიღებული ცოდნა კათედრებმა გაუზიარეს ერთმანეთს,გაითვალისწინეს მოსწავლეთა საჭიროებები და წინა წლების გამოცდილება,გამოკვეთეს მნიშვნელოვანი თემები,გრძელავადიანი მიზნები,ძირითადი და დამატებითი ტექსტები,რესურსები.შექმნეს თემატური მატრიცები.დაგეგმეს,რამდენი კომპლექსური დავალება უნდა განეხორციელებინათ დაწყებით საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ კათედრის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა შინაარსობრიბად და ტექნიკურად მეტწილად შესაბამისობაშია ერონული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პრინციპებთან, მიზნებთან და საკითხებთან. სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებაში, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც. კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ საკუთარ და ერთმანეთის გამოცდილებას, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს, მოსწავლეთა დამოკიდებულებას განხორციელებული კომპლექსური დავალებების მიმართ. გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარში ნახსენებია, რომ კათედრებზე ჩატარდა მიმოხილვა, რომლის შედეგედაც გამოიკვეთა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნულის გათვალისწინებით შექმენეს თემატური მატრიცები და შეთანხმდნენ კომპლექსური დავალებების სავალდებულო რაოდენობაზე. კითხვარში ასევე აღნიშნულია, რომ თითოეული კურიკულუმი შექმნილია სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით. კონკრეტული დეტალები ან მაგალითები ამ საკითხთან დაკავშირებით არაა მოცემული არც თვითშეფასების კითხვარში და არც უცხოური ენების კათედრის დოკუმენტაციაში. რაც შეეხება მასწავლებლებთან ინტერვიუს, მათ დაადასტურეს კითხვარში მოცემული ინფორმაცია და თქვეს რომ ყოველთვის ცდილობენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს მთლიანად კათედრა და ასევე გათვალისწინებული იყოს მოსწავლეებისა და მშობლების აზრიც. კონკრეტული მაგალითების მოყვანა ინტერვიუზე გაუჭირდათ, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ რომ ამ კუთხით აქვთ გარკვეული ხედვები, სამომავლოდ გეგმავენ უფრო სიღმისეულად და სტრუქტურულად მუშაობას ამ მიმართულებით. აქედან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს იგეგმება, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები.საბუნებისმეტყველო კათედრაზე ხდება კურიკულუმების მეთოდიკის შემუშავება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმების შევსების მეთოდოლოგია და დებულება. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კათედრა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქნება მუსიკისა და ხელოვნების საგნის კურიკულუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს 2023-2024 სასწავლო წელს. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაბამისობაშია საგნობრივ სტადარტებთან და განსაზღვრულია სასწავლო წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროობები და ინტერესები, განსაზღვრულია შუალედური სასწავლო მიზნები გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება კურიკულუმები და დაიხვეწება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და შერჩეული კომპლექსური დავალებების განხორციელების პერიოდის გათვალისწინებით. გასაუბრებისას დაფიქსირებული მოსაზრებების და წარმოდგენილი საბაზო საფეხურის დოკუმენტები იძლევა შემდეგი ტიპის დასკვნის შესაძლებლობას, რომ ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმით ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, პრიორიტეტების და შესაძლებლობების გათვალისწინება. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ნათლად ჩანდა და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომმავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი პარალელურ კლასებთან დაკავშირებით,, რაც არ შეესაბამება სკოლის არსებულ მდგოარეობას, შესაბამისად სკოლას **მიეცა რჩევა:** განახორციელოს მეთოდოლოგიის ადაპტირება სკოლის საჭიროებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სახელმწიფო ენა - ურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს,მასწავლებლების პროფესიული მიღწევები,სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა(მაგ.ერთობლივად დაგეგმილი პროექტი-,მშობელთა ჩართულობა ფორმალური და არაფორმალური ხაზით (დავალების ბარათები მშობელთათვის)ასევე განხორციელებული გაკვეთილების რეფლექსიები იძლევა კურიკულუმის განვითარების საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მთელი სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მშობელი, დირექცია,მოსწავლე) მონაწილეობას. კონკრეტული დეტალები და მაგალითები არც ამ შემთხვევაში მოცემული რომელიმე დოკუმენტში. ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო წლის ბოლოს, ასევე, სემესტრის ბოლოს კათედრა ერთობლივად განიხილავს განხორციელებულ აქტივობებსა და სასწავლო პროცესს და თუკი ამ ანალიზის დროს გამოიკვეთება რომ მოსწავლეებს არ მოეწონათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონკრეტული აქტივობა, ან გამოთქვეს რაიმე მოსაზრება მის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, ცდილობენ გაითვალისწინონ ან მყისიერად ან მომდევნო სასწავლო წელს/სემესტრში/თემაზე მუშაობასისას. რადგანაც სკოლას აქვს გარკვეული ხედვა და გამოცდილებაამ მიმართულებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების დამატება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სკოლაში ტარდება გამოკითხვა, რომელშიც ჩართულია მშობლები, ასევე მოსწავლეთა ინტერესების დადგენა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით ხდება გამოკითხვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის კურიკულუმებში ნათლად ჩანს და კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, სადაც ხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კურიკულმში ნამდვილად ასახულია მრავალფეროვანი სასწავლო თემებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმები შედგენაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოებაგათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები,მასწავლებელთა ინტერესები,მშობლის ხედვა, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობლებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმები შედგენილია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნის მასწავლებლებთან, ამ პროცესში ჩართულია სპეციალური მასწავლებელიც და ერთად ადგენენ კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და მასზე მორგებულ ადაპტირებულ მატრიცებსა და კომპლექსურებს. კითხვარში, ასევე ნახსენებია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. ინტერვიუსას მასწვლებლებმა აღნიშნეს რომ აპირებენ ამ მიმართულებით მუშაობას და სამომავლონ უფრო აქტიურად ჩრთავნ მშობლებს და მოსწავლეებს კურიკულუმების შედგენის პროცესში. სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ ფორმების დეტალურად განხილვას/გადასინჯვას და საბოლოო ვერსიაზე შეჯერებას. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე კათედრა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და მეტად აქტიურად ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ყველა მასწავლებელი იღებს მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თანხმდებიან რომელ საკითხებს დაამუშავებენ თემის ფარგლებში. განსაზღვრავენ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, ქვესაკითხებსა და სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის კურიკულუმს შეიმუშავებს კათედრა. კათედრაზე მოხდება მასწვალებლების მიერ კოლეგებთან ერთად წინა წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრები შეთანხმდებია და შეიმუშავებენ კომპლექსური დავალებების ბარათებს, რომლებსაც გაუგზავნიან მშობლებს და მათგან მიიღებენ უკუკავშირს. სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება მოხდება საბჭოზე სასწავლო წლის დაწყებითან რამდენიმე დღით ადრე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს თემებსა და აქტივობებს. ინდიკატორით დასტურდება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა სასკოლო კურიკულუმს კათედრის წევრები არ ქმნიან ინდივიდუალურად,განიხილავენ,შეაჯერებენ,ერთმანეთს უზიარებენ, შეაქვთ შესაბამისი ცვლილებები.იგი ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა წევრისათვის,მის განხილვას მოჰყვება შესაბამისი უკუკავშირი,რასაც სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მომდევნო სასწავლო წლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - როგორც წინა ინდიკატორების აღწერისას ვახსენე, კურიკულუმების შემუშავებში მეტ-ნაკლებად გათვალისინებულია ყველა მხარის მოსაზრეები (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია) და აქედან გამომდინარე, იგი გაზიარებულია კიდეც საკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ჩანს,რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ირკვევა, რომ კათედრის წევრების მიერ შემუშავებული კურიკულუმის გაზიარება ხდება როგორც კათედრის წევრებისთვის, ასევე მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის სოციალური ქსელების მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრებზე მასწავლებლების მიერ ხდება წინარე გამოცდილების გაზიარება, განხილვა და უკუკავშირი. მშობლებთან გაზიარება ხდება მშობელთა კრებების მეშვეობით და სოციალური ქსელის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. წარმოდგენილი: 7-9 კლასის კურიკულუმები. ფესტივალის, სასკოლო პროექტებში ანუ შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2022-2023 კურიკულუმები;
- ახალი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტები;
- თვითშეფასების კითხვარი,
- მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სახელმწიფო ენა - კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმის მიხედვით და ,ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ მასწავლებლის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალება მე-7 კლასში ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, დავალების პირობა მკაფიო და ნათელია,განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები.უპირატესობა ენიჭება ისეთ დავალებეს,სადაც მოსწავლე გამოავლენს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარს.ამჯერად ,საბაზო საფეხურის კურიკულუმი წარმოდგენილია ერთი თემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში,მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ ახალი სასწავლო წლიდან წარმოადგენენ სრულყოფილ კურიკულუმს საბაზოსაფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად, რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, მე-8 კლასის ინგლისური ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა შექმნან Power point პრეზენტაცია საყვარელი რომანის შესახებ. მოსწავლემ უნდა წარმოიდგინოს, რომ იგი მონაწილეობას ღებულობს ლიტერატურულ კონფერენციაში მომხსენებლად. ისინი თავად წყვეტენ რომელ რომანს აარჩევენ და როგორ გააფორმებენ პრეზენტაციას, რა ინფორმაციას დაიტანენ მასზე და ა.შ. ამდენად, მოსწავლეები თავად არიან საკუთარი სასწავლო პროცესის წარმმართველნი და დავალებას ასრულებენ საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მსგავსადაა აგებული რუსული ენის მე-9 კლასის კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც მოსწავლეებმა უნდა შექმნან ვირტუალური ზოოპარკი, ინგლისური ენის მე-9 კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით კი, უნდა შექმნან ბუკლეთი ქალაქის ღირშესანიშნაობებზე და ა.შ. თითქმის ყველა კომპლექსური დავალება არის მსგავსი ტიპის. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი შუაგორას საჯარო სკოლაში, საბაზო საფეხურზე, მოსწავლე ნამდვილად არის სწავლის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში (ქიმიის VIII და IX კლასები,ფიზიკისა და ბიოლოგიის VII, VIII და IX კლასების) არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ძირითადად სწორად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის შევსებული სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და ქვეცნებები,შესაბამისი რესურსებით; ასევე რიგ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოაჩენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კათედრის წევრები შეიმუშავენებ კურიკულუმებს, რაც მიემართება მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საბაზო საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი წლიური პროექტი ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა- სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სახელმწიფო ენა - გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, კომუნიკაცია)მტკიცებულებად წარმოდგენილია კომპლეასური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალება,რომელიც განხორციელდა მე-7 კლასში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისუბრეს კომპლექსური დავალების განხორციელების შესახებ.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საკითხი, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება კურიკულუმების კიდევ ერთხელ გადახედვა და დახვეწა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ ფუნქციურ კომპონენტური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი შუაგორას საჯარო სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ: გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობას.
წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. კერძოდ:
შემოქმედებითობა- აღნიშნული ფუნქციური უნარის განვითარების ხელშეწყობა ხდება, როდესაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან პოსტერები სხვდასხვა თემებზე (ჩემი ქვეყნის ეროვნული სპორტი, ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, რობოტის დიზაინი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის და ა.შ), ბუკლეტი (ექსკურსია ჩემს ქალაქში), მოხსენება ოთხი სხვადასხვა მუზეუმის შესახებ; რაიმე პროდუქტის რეკლამირება ვიდეო რგოლის, პოსტერი ან სხვა ნებისმიერი სახის ციფრული რესურსის საშუალებით, დაწერონ საგაზეთო სტატიები თუ ილუსტრირებული ტექსტები და ა.შ.
კრიტიკული აზროვნება - როგორც პირველი კრიტერიუმის აღწერისას ვახსენე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, მე-9 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით მოსწავლეებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტურისტებისთვის უნდა დაამზადონ ბუკლეტი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ. ამისათვის მოსწავლეს დასჭირდება დაფიქრდეს თუ რომელი გამორჩეული ადგილებია მის ქალაქში, რომელი მათგანის შეტანა იქნება უფრო საინტერესო ბუკლეტში და რატომ, უნდა მოიძიოს გარკვეული ინფორმაცია ამ ადგილების შესახებ, დაამუშაოს იგი და გამოყოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოსწავლე, ასევე, უნდა დაფიქრდეს ბუკლეტის დიზაინზე და გადაწყვიტოს როგორ გააკეთოს იგი- თაბახზე, ვორდის პროგრამით თუ სხვა მისთვის უფრო მოსახერხებელი ვერსიით და ა.შ. ტექნიკური საკითხების გარდა, მოსწავლემ უნდა აარჩიოს სათანადო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები, გაითვალისწინოს ტექსტის ფორმატი და მისი მახასიათებლები. როგორც ვხედავთ, მოსწავლეს უწევს რამდენიმე ასპექტის გაანალიზება და ერთმანეთთან დაკავშირება საბოლოო პროდუქტის მისაღებად და ამდენად, აღნიშნული დავალება მოსწავლისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას. მსგავს პროცესებს მოითხოვს სხვა კომპლექსური დავალებებიც და ამდენად საბაზო საფეხურზე, უცხოური ენების კათედრა, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც.

კომუნიკაცია - როგოც ვიცით აღნიშნული გლობალური უნარი მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელობას, კონტექსტუალიზებას და გამოხატვის რელევანტური საშუალების შერჩევას (ვერბალლური/არავერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევთ კომპლექსური დავალებების წარდგენა პრეზენტაციების სახით, კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ელემენტების შერჩევა იქნება ეს მეტყველების ტემპი, ინტონაცია, მახვილი თუ ჟესტიკულაცია. ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა ემპათიის უნარის განვითარებასაც, რადგან მოსწავლეები აკეთებენ თვით რეფლექსიას კომპლექსური დავალებების დასრულებისას და ასევე მისი განხორციელების ეტაპების დროსაც. როგორც ვხედავთ, ფუნქციური უნარის, კომუნიკაცია, განვითარებას ხელს უწყობს შუაგორას საჯარო სკოლის უცხოური ენების კურიკულუმები და სასწავლო პროცესი.

კოლაბორაცია - უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები არის ინდივიდუალურად შესასრულებელი, თუმცა კათედრას წარმოდგენილი აქვს რამდენიმე პროექტი, სადაც მოსწავლეებს უწევდათ ერთობლივად მუშაობა საერთო პროდუქტის შესაქმნელად. მაგალითად განვიხილოთ პროექტი '' ქალთა დღე და დედის დღე'', სადაც მოსწავლეები გადანაწილებულები იყვნენ ჯგუფებად და უნდა წარედგინათ პრეზენტაციები ხსენებულ თემასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნავდნენ თუ რატომ იყო საჭირო ან არ იყო საჭირო დედის დღის და ქალთა დღის აღნიშვნა, როგორ აღინიშნებოდა ისინი სხვადასხვა ქვეყნებში და ა.შ. ჯგუფის წევრებს გადანაწილებული ჰქონდათ პასუხსიმგებლობები და საბოლოოდ წარადგინეს ერთობლივი POWER POINT-ის პრეზენტაციები, რომლებიც გაფორმებული იყო მუსიკალურად და ვიზუალურად. მსგავსი ტიპის ერთობლივ მუშაობას მოითხოვდა ყველა სხვა პროექტებიც და შესაბამისად, ხელი შეეწყო საერთო პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას საკითხის საკვლევად და შესასწავლად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებასაც.

მოქალაქეობა - წინა ინდიკატორის აღწერაში მოყვანილი ფაქტები, ასევე არის დასტური იმისა, რომ მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც იმდენად, რამდენადაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ.

ხასიათი/ნებელობა - როგორც ვიცით ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას, სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. ასევე, თვით აქტუალიზაციას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს ყველა ზემოთ ხსენებულ პროცესს იმდენად, რამდენადაც კონკრეტული თემის ფარგლებში მოსწავლეები თავად წყვეტენ რა ასპექტებს განიხილავენ ამა თუ იმ დავალების ფარგლებში, როგორი დიზაინისა და ფორმატის პოსტერს გააკეთებენ, არჩევენ შესაბამის ენობრივ სტრუქტურებს იქნება ეს გრამატიკული თუ ლექსიკური, საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს და მასზე დაყრდნობით მიდიან საბოლოო პროდუქტამდე, ანაწილებენ დროს და ა.შ. ამდენად, ხასიათისა დ ნებელობის უნარის განვითარება ხელშეწყობილია უცხოური ენების კურიკულუმების ფარგლებში.

რაც შეეხება **მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებსა და შედეგებს**, უცხოური ენის კურიკულუმები ნამდვილად უწყობს ხელს თითოეული მათგანის განვითარებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების უმეტესობა მათ სთხოვს პრეზენტაციის გაკეთებას, რაც თავისთავად მოიაზრებს საუბარს და ამდენად გადის შემდეგ სამიზნე ცნებებზე/ქვეცნებებზე: ფუნქციური სამეტყველო ქმედებები, კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, ლექსიკა, გრამატიკა. ზოგიერთი კომპლექსური დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს ესეს დაწერას სხვდასხვა თემებზე (სკოლაში მობილური ტელეფონის ტარების შესახებ (მე-10 კლასი, ინგლისური), რობოტი მასწავლებლის დადებითი და უარყოფითი მხარე (მე-9 კლასი ინგლისური) და ა.შ.), რჩევა დარიგების წერილის მიწერას მეგობრისთვის (კლასი VII, ინგლისური ენა), საგაზეთო სტატიის დაწერას (კლასი IX, ინგლისური ენა) და ა.შ. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას და გადის შემდეგ სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე: სამიზნე ცნებები - ტექსტი (ტექსტის სტრუქტურა), სამეტყველო ქმედება (კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, წერის სწავლის სტრატეგიები), ენობრივი საშუალებები(გრამატიკა, ლექსიკა); შედეგები - Iუცხ.საბ. 3. წარმოდგენილი კურიკულუმები ხელს უწყობს კულტურათა დიალოგის სამიზნე ცნებისა და შედეგების დაფარვასაც. მაგალითად მე-8 კლასის ინგლისური ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალებაა პრეზენტაციის წარდგენა საყვარელი სპორცსმენის შესახებ, სადაც უნდა ისაუბროს მისი ვინაობის, ეროვნებისა და სხვა დეტალების შესაცებ. ამ დავალებით მოსწავლეები გაეცნობიან სხვდასხვა ქვეყნების სპორცსმენებს და მოახდენენ შედარებას ქართველ სპორცსმენებთან. კულტურათა დიალოგის მიმართულებით მუშაობას უწყობს ხელს მე-9 კლასის რუსული ენის კომპლექსური დავალებაც, რომელიც მოსწავლეს სთხოვს პრეზენტაციის გაკეთებას სხვადასხვა ქვეყნების სასკოლო სისტემების შესახებ და მათ საქართველოსთან შედარებას. ამ დავალებით მოსწავლეებს საშუალება აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაეცნონ სხვა ქვეყნებს. ამდენად, უცხოური ენების კათედრაზე, საბაზო საფეხურზეც ეწყობა ხელი კულტურათა დიალოგის შედეგების მიღწევას. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს (შედეგები: Iუცხ.საბ.1), რომლებიც კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას მიემართება, ვფიქრობ, ხდება მათი დაფარვაც, რადგან მოსწავლეებს უწევთ ტექსტებზე მუშაობა და მისი გააზრება სხვდასხვა აქტივობისთვის. მაგალითად, ზემოთ ხსენებული საინფორმაციო ტექსტის შესადგენად, მათ ჯერ უნდა დაამუშაონ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი და მის მსგავსად ააგონ საკუთარი. გარდა სახელმძღვანელოს ტექსტისა, მათ დასჭირდებათ სხვდასხვა ინფორმაციის მოძიება და დამუშავება რათა ისაუბრონ სასურველი სპორცსმენის შესახებ და გააცნონ იგი თანაკლასელებს. მსგავსი პროცესებია საჭირო თითქმის ყველა კომპლექსური დავალების შესასრულებლად და ამდენად, ხელი ეწყობა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს,რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, სრულყოფილად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საგნების (ქიმია,ფიზიკა და ბიოლოგიის) სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, ყველა თემაში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შემუშავებული კურიკულუმების ანალიზით ირკვევა, რომ ისინი მიემართებიან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, მუშავდება სამიზნე ცნებები შემდეგ საგნებში: გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა. კომპლექსური დავალებები მიმართულია მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მუსიკის საგნის კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება შევსებულია სწორად. ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეა. საბაზო სახეფურის კლასებში წარმოდგენილი კურიკულუმები გვაფიქრებინებს, რომ კათედრას სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპი და აქვთ მზაობა კურიკულუმებები დახვეწონ და წარმოადგინონ მომავალში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებმა ისაუბრეს,თუ როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს,სწავლის სტილს,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა,აქტივობები გათვლილია მაღალი,დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის.აღნიშნულ საკითხების სასწავლო პროცესში გასათვალისწინებლად მათ ეხმარება პროფესიული ტრენინგები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლას გააჩნია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სსსმ მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდება საგანმანათლებლო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (პროდუქტის რეკლამირება პოსტერით, ვიდეო რგოლით, PPT-ით ან სხვა ნებისმიერერი ციფრული რესურსით; ინგლისური X კლასი), სსმ მოსწავლეებისთვის აქვთ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალებების გამარტივებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის, თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. ინტერვიუს დროს არ უხსენებიანათ როგორ ახდენენ დიფერენცირებას იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც არ აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. სასურველია, უცხოური ენების კათედრამ ამ მიმართულებით დაიწყოს მუშაობა და შეიმუშაონ გარკვეული სტრატეგიები, მეთოდები რომლებსაც სამომავლოდ გამოიყენებენ, რადგან დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება საჭიროა არა მარტო სსსმ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეებთანაც. მიუხედავად ამ ხარვეზისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით და გამოთქვამენ მზაობას იმუშაონ აღნიშნული მიმართულების გაუმჯობესებაზე. ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლურიურ მიდგომას. ამ საფეხურზე არ უწევთ ისგ-ს შედგენა, რადგან აღნიშნული საჭიროების მოსწავლე არ ჰყავთ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ სასწავლო პროცესში ხდება ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება. ასევე მოხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება, რომელიც თითეულ მათგანის შესაძლებლობაზე იქნება მორგებული. თითოეული კომპლექსური დავალების, სასწავლო პროცესის და საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება მოხდება მრავალფეროვანი რესურსების და აქტივობების გამოყენებით. გათვალისწინებული იქნება ყველა ტიპის საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები. სკოლის სამუშაო ჯგუფი (შემდოგომში ისგ ჯგუფი) უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და მისი განხორციელების ხელშეწყობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი -სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რაც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში. სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ძირითადად, იყენებდნენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს (წაკითხულის გააზრების, პრეზენტაციის, ჩართულობის და სხვ). განმავითარებელი შეფასებისას მიმართავენ ზეპირ კომენტარს,.როგორც აღნიშნეს სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ შექმნან კურიკულუმში წარმოდგენილი თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო გარემოს, სწავლების პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და შესაძლებლობებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე არსებული ცოდნის გამოყენებას რეალურ სიტუაციაში. მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსწავლის პროგრესს. საბაზო საფეხურზე იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას, ასევე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორიცაა შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კერძოდ: მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. ამას ადასტურებს მათი მერ, დამატებით დოკუმენტებში, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმებიც (მაგალითად:.ფუნქციური გამონათქვამები გამოყენება ინტერაქციისთვის, ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების დაცვა და ა.შ). ზემოთ თქმულის გარდა, ასეთი მიდგომით, უზრუნველყოფილია საკითხის სიღრმისეული შესწავლა, მოსწავლე არის აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. უცხოური ენების ე.წ. ‘’რესურს 12’’-ში ნახსენებია, რომ უცხოური ენების კათედრას, ამ ეტაპზე, აქვთ განმსაზღვრელი შეფასების ორი რუბრიკა და გეგმავენ მათი რაოდენობის გაზრდას მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე. კათედრამ, დამატებით დოკუმენტებში, უკვე წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე დამატებითი რუბრიკა, რომლებიც ნამდვილად მიემართება გრძელვადიან მიზნებს (წინადადებაში გრამატიკული საკითხების ცოდნის წარმოჩენა, ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების დაცვა და ა.შ) ამავე დოკუმენტის მიხედვით, სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებსაც, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეებიც ჩართულნი არიან შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ მუშაობას და სახავენ გაუმჯობესების გზებს. ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწალო წლისთვის ყველა თემის ფარგლებში შეიმუშავებენ შესაბამის რუბრიკებს, რომლებშიც შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოება, რომელიც მიემართება გრელვადიან მიზნებს. ხელოვნების და მუსიკის საგანში წარმოდგენილი არ არის შეფასების რუბრიკები, თუმცა, მასწავლებლებთან გასაუბრების შემდგომ დადგინდა, რომ ესმით საკითხი და გეგმავენ ამ საკითხის განვითარებას. კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოხდება განმავითარებელი შეფასების წარმოება და მიეცემათ მოსწავლეებს უკუკავშირი. პედაგოგები მოახდენენ მოსწავლეების შედეგების გამჯობესებას. შეფასებებსი განსაზღვრა მოხდება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებთან მიმართებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, თემებთან და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებთან. შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ, კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. ის საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა - გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი ,გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კათედრებზე კოორდინირებულმა მუშაობამ, ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტმა ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აზრი, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია წინა წლის საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმონ სწავლა/სწავლების პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -სკოლას წარმოდგენილი არ აქვს რაიმე დოკუმენტი, რომელიც ასახავს წინარე გამოცდილების ანალიზის გამოყენებას კონკრეტული ასპექტის დაგეგმვაში, თუმცა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ წინა წლის წარმატებული პრაქტიკა და მუშაობენ სუსტი მხარეების გაუმჯობესებაზე. კათედრას ამ მიმართულებით სჭირდება უფრო მეტი მუშაობა, თუმცა აქვთ გარკვეული გამოცდილება და მზად არიან გააუმჯობესონ მუშაობა ამ კუთხით. ამ ეტაპზე, შეგვიძლია ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან, ოფლაინ შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აანალიზებენ თუ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ გამოიწვია მოსწავლეებში დიდი ინტერესი, რომელი აქტივობა იყო მოსწავლეებზე კარგად მორგებული. იყენებენ მოსწავლის რეფლექსიას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის კურიკულუმის აგებისას მოხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება. მასში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. შეფასდება ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოიკვეთება შესაძლებლობები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევებს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ინდიკატორით დასტურდება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები საბაზო საფეხურსთვის;
- პროექტების განხორციელების ამსახველი დოკუმენტები შემდეგი სახელწოდებებით: ’’ რეფლექსია-დედის დღე’’ და ‘’ ქალთა დღე და დედის დღე. (გაზაფხული, პოეზია, დედა);
- ‘’რესურსი-12;
- განმავითარებელი-შეფასების-რუბრიკები;
- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალები;
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ პროცესებში ჩართულობას, იყენებენ ისეთ აქტივობებს,რომლებიც იწვევს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას,წინარე ცოდნაზე ახლის დაფუძნებას.სასწავლო პროცესი ეფუძნება არა მხოლოდ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას,არამედ მაღალი საზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რაც მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - წინა ინდიკატორების აღწერისა და დასაბუთების ნაწილში უკვე ვახსნე, რომ მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, საგაზეთო სტატიის დაწერა თუ დიალოგის შედგენა. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, კათედრას წარმოდგენილი აქვს ორი პროექტი, ''ქალთა დღე და დედის დღე'', და ''პატარა სხეულის დიდი ძალაუფლება''. ეს უკანასკნელი ხორციელდებოდა ორ სკოლას შორის და საერთო ჯამში ორივე პროექტი დატვირთული იყო სხვდასხვა აქტივობებით. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს რამდენიმე სოციალური და სასწავლო პროექტი (''ჩვენც დავბერდებით'', ,,ჩემი სამშობლო-საქართველოა''). მართლია ზოგიერთი მათგანი არის საბაზო და საშუალო საფეხურის, მაგრამ არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ რომ სკოლაში მოსწავლეები ჩართულნი არიან აქტიურ და შემოქმედებით პროცესებში და სკოლას აქვს აქტიური სასწავლო პროცესების წარმართვის როგორც მზაობა, ისე გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყელო საგნების (ქიმია,ფიზიკა და ბიოლოგია) საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, პედაგოგები საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად,მომდევნო სასწავლო წელის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კომპლექსური დავალებებით ირკვევა, რომ მოსწავლე ჩართულია აქტიურ შემოქმედებით პროცესში, რადგანაც შერჩეული აქტიოვბები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს, რაც განაპირობებს შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებზე დაყრდნობით ხერხდება სასწავლო პროცესის დანახვა. მოსწავლე ეცნობა და ამუშავებს ახალ ინფორმაციას. ხდება ახალი ინფორმაციის სხვადასხვა კონტექსტში დანახვა. მოსწავლე აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს და მონაწილეობას იღებს დისკურსიებში, მსჯელობაში. შერჩეული აქტივობები განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და მასში აძლიერებს თავდაჯერებულობას, მოტივაციას. თითოეული პროცეში ააქტიურებს მოსწავლეს და ორიენტირებულია მის განვითარებაზე. შესაბამისად, დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი -7-9 კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, საბაზო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები, უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა - წარმოდგენილი დოკუმენტაცია მეტყველებს,რომ მასწავლევლები კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ , გასაუბრებისას გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება , მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას , გამოცდილებას , ინტერესებს , ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში , სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს , თემას , მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვთ ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება.წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ როდესაც ახალ მასალაზე გადადიან, პირველ რიგში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ამის შემდეგ აანალიზებენ რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს სამიზნე თემის ირგვლივ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცდილობენ მასზე დაყრდნობით ეტაპობრივად გადავიდნენ ახალ მასალაზე. ამ კუთხით ნათელი სურათის მომცემი იქნებოდა მატრიცები, მაგრამ რადგან სკოლას წარმოდგენილი არ აქვს ისინი, ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუაგორას სკოლაში, უცხოური ენების კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული გამოცდილება და მზაობა ამ კუთხით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სასწავლო პროცესი ორიენტრიებულია მოსწავლეზე, ახალ იდეებს უკავშირებენ არსებულ ცოდნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება, რომ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტ თემები, რომელიც მას დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ნაცნობი კონტექსტი მოსწავლეს გაუადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, გაეზარდოს მოტივაცია და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებმა ისაუბრეს სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე,კერძოდ, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე,აღნიშნეს,მიუხედავად იმისა,რომ მეტწილად მიმართავენ ამ ტიპის აქტივობებს,ფიქრობენ რომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ უნარების განვითარებას, რეკომენდაციად მიიღეს,გამოიყენონ სწავლების პროცესში კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ კომპლექსური დავალების შეკითხვების ბანკი,ამ შეკითხვებზე პასუხით მოსწავლეები გაანალიზებენ თითოეულ ნაბიჯს,თითოეულ დეტალს,რაც სასწავლო პროცესს უკავშირდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, რასაც ხელს უწყობს თვითშეფასების ბარათები, რეფლექსიური ტიპის შეკითხვები პრეზენტაციის დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - პირველი ინდიკატორის კრიტერიუმების აღწერისას ვახსენე, რომ მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც და შესაბამისას, შეგვიძლია ვთქვათ რომ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს ,კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე ,შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი წარმართავენ სასწავლო პროცესში ისეთ აქტივობებს, რათა მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები კარგად გაიაზრონ. აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე. სკოლა აქცენტს აკეთებს სწავლა სწავლების 5 პრინციპზე და ყურადღებას ამახვილებს პრინციპზე - სწავლა-სწავლება, რაც ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე- იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ინდიკატორით დასტურდება **შესაბამისობა**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სახელმწიფო ენა - წარმოდგენილი თემატური მატრიცა ასახავს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას,მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ ჩდილობენ სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა დაუკაშირონ რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები (კომპლექსურის სახით) მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით (ინგლისური ენა, მე-9 კლასი), მოსწავლემ უნდა გააკეთოს პრეზენტაცია ჯანსაღი ცხოვრების წესზე, სადაც ისაუბრებენ ჯანსაღი ცხოვრების დადებით და მავნე ჩვევების უარყოფით მხარეებზე. ამისათვის მას დასჭირდება, გაიხსენოს სხვა საგნებში ნასწავლი გარკვეული ინფორმაცია. მაგალითად ბიოლოგიაში, ქიმიაში. მან, ასევე, უნდა გაიხსენოს თემის ფარგლებში ან/და მანამდე ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები და მიხვდეს რომელი მათგანი დასჭირდება ჯანსაღი ცხოვრების წესზე პრეზენტაციის წარდგენისას. როგორც ვხდეავთ, მოსწავლეებს ფაქტობრივი ცოდნის გარდა სჭირდებათ მისი პირობისეული გამოყენებაც. ყველა კომპლექსური დავალებისთვის მოსწავლეს დასჭირდება მსგავსი პროცესების გავლა და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს სამივე საგანში (ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ეს ეხება შემდეგ საგნებს: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია. ადგილი აქვს ფაქტობრივი ცოდნის მიღებას. პროცედურული ცოდნის დროს გამოუმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, ხოლო პირობისეული ცოდნით უკავშირებენ ცხოვრებისეულ კონტექსტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ხელოვნების საგნის თემატურ მატრიცებში მოცემული აქტივობების შეკითხვებიდან გამომდინარე იკითხება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. დანართებში წარმოადგენილია სხვა საგნის რუბრიკებზე დაწყრდნობით მეტნაკლებად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ინდიკატორით დასტურდება **შესაბამისობა**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოდნათა ურთიერდაკავშირებისა და ორგანიზების კუთხით,პრაქტიკულად ,კომპლექსური დავალების განხორციელებისას ურთიერთაკავშირებულია გრძელავდიანი მიზნები(ცნება, ქვეცნება,ქვესაკითხი)რაც ცოდნათა ორგანიზების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლება, რომელიც ითვალისწინებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - მე-4 კრიტერიუმში მოყვანილი მაგალითიდან, ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, იმდენად რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლის მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად. გარდა კომპლექსური დავალებებისა, უცხოური ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული პროექტი ბიოლოგიასთან და კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით,ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები -საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში კარგად ჩანს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ გააზრების დამახსოვრების პროცესს. ეს კი ეხმარება მოსწავლეს წარმატების მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება, რასაც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამყარებს. ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას იმსჯელეს, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება, რასაც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამყარებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა მეხსიერებაში ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.ინდიკატორით დასტურდება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადაპტირებული კომპლექსური დავალებაები
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- კურიკულუმები საბაზო საფეხურისთვის;
- პროექტების ამსახველი დოკუმენტაციები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სახელმწიფო ენა -როგორც აღინიშნა,სასწავლო პროცესი მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.მასწავლებლებმა სამომავლოდ უნდა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალებები , რომლებიც განსაზღვრავს იმ ცოდნას , რასაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს და ახალი სასწავლო წლიდან შეიტანონ ცვლილებები თემატურ მატრიცაში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - საბაზო საფხურის მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მეტწილად განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი და შესაბამისად აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონრეტულ საკითხს, მაგალითად ისწავლონ ხილსა და ბოსტნეულთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული დროის ფორმები და ამბის თხრობა, ისწავლოს ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები და ა.შ. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შუაგორას სკოლაში, უცხოური ენების ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყელო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის სამივე საგანში (ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია) გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მოწოდებულ დოკუმენტაციაში გამოკვეთილია სამიზნე ცნებების დამუშავება ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებით. მოცემულია მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, რომელთა დამუშავება ხდება შესაბამისი სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, რის მიხედვითად სკოლა საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ განხორციელებული კომპლექსური დავალებებით სამიზნე ცნებებსა და მოახდინონ მკვიდრი წარმოდგენების გააზრება. წარმოდგენილი საკითხები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. პროცესს არ ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება განმავითარებელი რუბრიკების მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი", რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა - გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში,ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,პერსონაჟის თვისებებზე დაკვირვება,მისი ხედვის კუთხიდან მოვლენების შეფასება, აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას დაფიქრდეს მორალურ-ეთიკურ ღირებულებებზე,მართონ საკუთარი ემოციები.მაგ-თხზულების დაწერა- პირადი მოსაზრების გამოხატვა,ანალიტიკური ესეს დაწერა,ყოველივე ეს ,კი,ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. მათ აღნიშნეს, რომ დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წინა კრიტერიუმების არწერისას ხესენებული პროექტები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სხვა სკოლის წარმომადგენლებთანაც. ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვითმართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება : ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნობრივი კონტექსტები კურიკულუმებში ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეებს უვითარდებათ თანამშრომლობით უნარი, ასევე კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლაში საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებულია სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებსა და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებები, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები. 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, განვითარებასა და პიროვნულ ზრდას, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტით. წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ხდება საგნობრივი საკითხების გააზრება, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა - გასაუბრებიდან გამოიკვეთა ,რომ კათედრას აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,ასევე რ გათავისებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მექანიზმი,ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას სამიზნე ცნებებთან მიმართებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. ასევე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერბიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. წარმოდგენილი რუბრიკებითაც ჩანს რომ მოსწავლეები ფასდებიან ჰოლისტურად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, თუმცა ჯერ არა აქვთ შექმნილი შეფასების რუბრიკები. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით,აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას, დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ კარგად ესმით მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა. მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემის ფარგლებში შეიმუშავონ შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას, ნაცვლად ესთეტიკის კათედრისა, წარმოდგენილი აქვს სხვა საგნების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რაც მეტყველებს იმაზე რომ სკოლა აქვს ამ მიმართულებით გამოცდილება. გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების გაწერას, აქვთ გააზრებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნები და დამიშნულება, მისი მნიშვნელობა. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სახელმწიფო ენა - მასწავლებლები მიზნობრივად იყენებდნენ შეფასების რუბრიკებს,სამომავლოდ განსაზღვრული აქვთ სამიზნე ცნებებთან მიმართებით შეფასების სისტემის მექანიზმის შემუშავება,რათა მოსწავლეებმა თავად გაუწიონ მონიტორინგი სწავლის პროგრესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - საბაზო საფეხურის კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - შეფასების სისტემა არის სანდო, იმდენად რამდენადაც კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. მაგალითად,'' მოსწავლე სწორად იყენებს გრამატიკულ საკითხებს წინადადებაში'', '' მოსწავლე წარმოთქვამს გარკვევით,ინტონაციით, პაუზის დაცვით'', ''პრეზენტაციისას მოსწავლე იცავს დროის ლიმიტს'' და ა.შ. არის ზოგიერთი კრიტერიუმი რომელიც შეიძლება სხვდასხვანაირად გაიგოს შემფასებელმა. მაგალითად, '' გრამატიკული საკითხების გამოყენებაში დაშვებულია რამდენიმე შეცდომა ''. ერთმა მასავლებელმა შესაძლოა რამდენიმე შეცდონაში მოიაზროს 3-4 შეცდომა, ხოლო მეორემ 6-7 და ა.შ. და ამდენად შეფასება პარალელურ კლასებში ვერ იქნება ვალიდური და სამართლიანი. ლარგი იქნება, რუბრიკებში დაკონკრეტდეს შეცდომების დაშვების მაქსიმალური რაოდენობა კატეგორიების მიხედვით. მაგალითად, ''რამდენიმე შეცდომა''-ის გვერდით დაიწეროს მაქსიმუმ 4 ან 5 და.შ. მასწავლებლის შეხედულებისამებრ გონივრულ ჩარჩოში. რაც შეეხება შეეხება გამჭვირვალობას, მასწავლებლების თქმით რუბრიკები გამოკრული აქვთ საკლასო ოთახში, ასევე აცნობენ წინასწარ და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არის გამჭვირვალე. თვითშეფასების კითხვარშიც ნახსენებია, რომ რუბრიკები ცნობილია მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. ზემოთ ხსენებული ხარვეზის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10- ქულიანი შეფასების სისტემა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შემუშავებული აქვთ ისეთ შეფასების კრიტერიუმებს, რითაც შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ მოხდება მათი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. შეფასება უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას. სასკოლო შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა: სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სწავლის ხარისხის გაკონტროლება. ხარისხის გაუმჯობესება უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - თითოეული მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე. მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს, ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სახელმწიფო ენა - წარმოდგენილი მტკიცებულება -განმავითარებელი შეფასება მე-7 კლასში შეიძლება მივიჩნიოთ ვერიფიკაციის მექანიზმად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - უცხოური ენების შესაბამისობის გეგმაში(ე.წ. რესურსი 12) ნახსენებია რომ ისინი ამ ეტაპზე არ ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, Oუმცა აღნიშნავენ რომ მომდევნო წელს იმუშავებენ ამ მიმართულებით, დახვეწავენ არსებულ მექანიზმს და წელიწადში ორჯერ (ნოემბერი-მარტი) ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს. ნამუშევრებიდან დააკვირდებიან ყოველი მესამე ან მეხუთე მოსწავლის ნამუშევარს და შეავსებენ ანგარიშის ფორმას. საბაზო საფეხურზე სკოლაში მოსწავლეთა შეფასების მონიტორინგი ხორციელდება სკოლაში არსებული მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ელექტრონჟურნალების გამოყენებით. რადგანაც სკოლა გამოთქვამს მზაობას, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს საბუნებისმეტყველო კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის დირექციას ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებთან ერთად დანერგილი აქვთ ვერიფიკაციის მექანიზმი. აკვირდებიან, აანალიზებენ ნამუშევრებს და აძლევენ მასწავლებლებს შესაბამის რეკომენდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

გარკვეული გამოცდილება და მზად არიან გააუმჯობესონ მუშაობა ამ კუთხით. ამ ეტაპზე, შეგვიძლია ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან, ოფლაინ შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რითაც იგეგმება სასწავლო პროცესი. იკვლევენ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია მუსიკის საგნობრივი კურიკულუმების აგებისას ვერ მოხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება, რადგან მეათე კლაში მუსიკის საგნის პროექტული სწავლება წელს დაინერგა. შესაბამისად მასში ნაწილობრივ გათვალისწინებულია წინარე კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით გამოცდილება. შეფასდება ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოიკვეთება შესაძლებლობები. საშუალო საფეხურის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის მასწავლებელთა საქმიანობის, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამონიტორინგო მუშაობის ანგარიშიდან და ავტორიზაციის განაცხადიდან გამომდინარე, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და კეთდება უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაციები. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება.
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა - განხორციელებული კომპლექსური დავალება,სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები, პროექრი ,,ჩვენც დავბერდებით" და სხვა აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ პროცესებში ჩართულობას, მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას,წინარე ცოდნაზე ახლის დაფუძნებას.სასწავლო პროცესი ეფუძნება არა მხოლოდ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას,არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რაც მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - წინა ინდიკატორების აღწერისა და დასაბუთების ნაწილში უკვე ვახსნე, რომ მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, საგაზეთო სტატიის დაწერა თუ დიალოგის შედგენა. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, კათედრას წარმოდგენილი აქვს ორი პროექტი, ''ქალთა დღე და დედის დღე'', და ''პატარა სხეულის დიდი ძალაუფლება''. ეს უკანასკნელი ხორციელდებოდა ორ სკოლას შორის და საერთო ჯამში ორივე პროექტი დატვირთული იყო სხვდასხვა აქტივობებით. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს რამდენიმე სოციალური და სასწავლო პროექტი (''ჩვენც დავბერდებით'', ,,ჩემი სამშობლო-საქართველოა"). მართლია ზოგიერთი მათგანი არის საბაზო და საშუალო საფეხურის, მაგრამ არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ რომ სკოლაში მოსწავლეები ჩართულნი არიან აქტიურ და შემოქმედებით პროცესებში და სკოლას აქვს აქტიური სასწავლო პროცესების წარმართვის როგორც მზაობა, ისე გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - პედაგოგები საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად,მომდევნო სასწავლო წელის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე სასწალო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის მიერ სისტემატურად ხდება მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული საინტერესო იდეების მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ხელოვნების საგნის კურიკულუმენზე დაყრდნობით ხერხდება სასწავლო პროცესის დანახვა. სადაც მოსწავლე ეცნობა და ამუშავებს ახალ ინფორმაციას, რომლის დანახვაც ხდება სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლე აფიქსირებს საკუთად მოსაზრებებს და მონაწილეობას იღებს დისკურსიებში, მსჯელობაში. შერჩეული აქტივობები განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და მასში აძლიერებს თავდაჯერებულობას, მოტივაციას. თითოეული პროცეში ააქტიურებს მოსწავლეს და ორიენტირებულია მის განვითარებაზე. შესაბამისად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები. ისევე როგორც საბაზო საფეხურზე, საშუალო საფეხურზეც მოწყობილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებმა გასაუბრებისას გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება , ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას , გამოცდილებას , ინტერესებს , ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში , სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს , თემას , ეძიებენ შესაბამის რესურსებს- მა. მე-12 კლასისათვის დაგეგმილი აქვთ რამდენიმე ნაწარმოებთან მიმართებით აჩვენონ ამონარიდები ქართული მხატვრული ფილმებიდან და პარალელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახით შეიტანონ ქართული და უცხოური ლიტერატურის ნიმუშები.მომდევნო .წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ როდესაც ახალ მასალაზე გადადიან, პირველ რიგში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ამის შემდეგ აანალიზებენ რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს სამიზნე თემის ირგვლივ და ცდილობენ მასზე დაყრდნობით ეტაპობრივად გადავიდნენ ახალ მასალაზე. ამ კუთხით ნათელი სურათის მომცემი იქნებოდა მატრიცები, მაგრამ რადგან სკოლას წარმოდგენილი არ აქვს ისინი, ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუაგორას სკოლაში, უცხოური ენების კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული გამოცდილება და მზაობა ამ კუთხით. ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. გეგმავენ შესაბამის აქტივობებს, რითაც სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და გამოუმუშავდებათ გარკვეული უნარ-ჩვევები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ხელოვნების საგნის კურიკულუმში იკვეთება, რომ წინარე ცოდნაზე დაფუძნევით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტ თემები, რომელიც მას დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ნაცნობი კონტექსტი მოსწავლეს გაუადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, გაეზარდოს მოტივაცია და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლა გეგმავს ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების მიერ განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებების დახვეწასა და განვითარებას. მათზე მუშაობის პროცესში ახალი ცოდნის დაშენება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა - დავალებები,აქტივობები,პროექტები იმგვარადაა დაგეგმილი,რომ ხელს უწყობს სწავლის სწავლას,მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას,მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სწავლებისას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შეკითხვები მოსწავლეებს რეფლექსიის უნარს უმუშავებს,ამ კუთხით კოლეგები ერთმანეთს გამოცდილებასაც უზიარებენ.2.2.1.3. ინდიკატორი **,,შეესაბამება** "სტანდარტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, რასაც ხელს უწყობს თვითშეფასების ბარათები, რეფლექსიური ტიპის შეკითხვები პრეზენტაციის დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - პირველი ინდიკატორის კრიტერიუმების აღწერისას ვახსენე, რომ მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც და შესაბამისას, შეგვიძლია ვთქვათ რომ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს ,კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე ,შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მასწავლებლები ისე წარმართავენ სასწავლო აქტივობებს, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები კარგად გაიაზრონ, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე. სკოლა აქცენტს აკეთებს სწავლა სწავლების 5 პრინციპზე და ყურადღებას ამახვილებს პრინციპზე - „სწავლა-სწავლება“ ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე- იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის,თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - წარმოდგენილი თემატური მატრიცა (მე-10 კლასი) ასახავს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას,მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თემატური მატრიცა განხორციელებისას ცოდნის სამივე კატეგორია იფარება,ასევე განხორციელებული პროექტები და სხვა სასწავლო აქტივობები უკავშირდება რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები (კომპლექსურის სახით) მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლემ უნდა დაწეროს წერილი რეპრესირებულ ქართველ მწერალზე ამისათვის მას დასჭირდება, გაიხსენოს სხვა საგნებში ნასწავლი გარკვეული ინფორმაცია. მაგალითად ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე ისტორიაში. მან, ასევე, უნდა გაიხსენოს თემის ფარგლებში ან/და მანამდე ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები და მიხვდეს რომელი მათგანი დასჭირდება რეპრესირებულ მწერალზე წერილის წერისას. როგორც ვხდეავთ, მოსწავლეებს ფაქტობრივი ცოდნის გარდა სჭირდებათ მისი პირობისეული გამოყენებაც. ყველა კომპლექსური დავალებისთვის მოსწავლეს დასჭირდება მსგავსი პროცესების გავლა და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს სამივე საგანში (ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საგნების ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე: დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული. ხდება მიღებული ცოდნის დაკავშირება ცხოვრებისეულ კონტექსტთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ხელოვნების საგნის თემატურ მატრიცებში მოცემული აქტივობების შეკითხვებიდან გამომდინარე იკითხება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. დანართებში წარმოადგენილია სხვა საგნის რუბრიკებზე დაყრდნობით მეტნაკლებად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - საწავლო პროცესი მიმართულია ცოდნათა ურთიერდაკავშირებისაკენ,რაც თავისთავად იწვევს ცოდნათა ორგანიზებას,მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ საგნობრივი კურიკულუმები მიემართება საგნობრივ სტანდარტს,რაც საკითხთა ინტეგრირების საშუალებას იძლევა.მას შემდეგ,რაც მოსწავლე გაეცნობა დავალების პირობას,უკვე იწყებს ფიქრს პრობლემაზე და შესაბამისად,თავს უყრის ყველა იმ ცოდნასა და უნარს,რაც ამ კუთხით გააჩნია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლება, რომელიც ითვალისწინებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - მე-4 კრიტერიუმში მოყვანილი მაგალითიდან, ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, იმდენად რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლის მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად. გარდა კომპლექსური დავალებებისა, უცხოური ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული პროექტი ბიოლოგიასთან და კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით,ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ცოდნათა ურთიერთდაკავშირება კარგად ჩანს კურიკულუმებში, ანუ გამოკვეთილია სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, ასევე კონკრეტული ქვეცნება და ქვესაკითხი. ხდება მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, რაც ზრდის გააზრების უნარს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება, რასაც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამყარებს. ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას ისაუბრეს, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება, რასაც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამყარებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა -სასწავლო პროცესი მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ თემატურ მატრიცაზე,მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალების ანალიზსა და შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით შეიტანენ ცვლილებებს თემატურ მატრიცაში,მოამზადებენ მასწავლებლისა და მოსწავლის პორტფოლიოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - საშუალო საფხურის მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მეტწილად განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი და შესაბამისად აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონრეტულ საკითხს, მაგალითად ისწავლონ ხილსა და ბოსტნეულთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული დროის ფორმები და ამბის თხრობა, ისწავლოს ტექსტის სტრუქტრურული მახასიათებლები და ა.შ. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შუაგორას სკოლაში, უცხოური ენების ფარგლებში, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყელო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის სამივე საგანში (ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია) გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით ირკვევა, რომ სამიზნე ცნებების დამუშავება მკვიდრი წარმოდგენებით ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით. ასევე მუშავდება ქვეცნება, ქვესაკითხები შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია დრძელვადიანი სამიზნე ცნებები, რის მიხედვითაც სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ განხორციელებული კომპლექსური დავაკებებით სამიზნე ცნებებსა და მოახდინონ მკვიდრი წარმოდგენების გააზრება. წარმოდგენილი საკითხები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. პროცესს არ ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება განმავითარებელი რუბრიკების მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი, კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა -სწავლა-სწავლების პროცესი უშუალოდ უკავშირდება მოსწავლის პიროცნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას,თვითცნობიერების ამაღლებას,თვითრეგულირებას სწავლას,სოციალური ცნობიერების ამაღლებას. (მაგ: პროექტი ,ჩვენც დავბერდებით")მეტწილად ეს ასახულია მოსწავლეთა ნაშრომებში,შეფასების რუბრიკებში,პროექტის აქტივობებში,სამომავლოდაც ფიქრობენ ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებასაც უწყობდეს ხელს. მათ აღნიშნეს, რომ დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წინა კრიტერიუმების არწერისას ხესენებული პროექტები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სხვა სკოლის წარმომადგენლებთანაც. ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვითმართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. აღნიშნული უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავთიარბელელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება : ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქოსოციალურ განვითარებას, ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს. მოსწავლეებს უვითარდებათ ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებები, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები. 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებასა და პიროვნულ ზრდას, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტით. წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ხდება საგნობრივი საკითხების გააზრება, რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლაში საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა -გამოიკვეთა ,რომ კათედრას აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,ასევე გათავისებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მექანიზმი,ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. ასევე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერბიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. წარმოდგენილი რუბრიკებითაც ჩანს რომ მოსწავლეები ფასდებიან ჰოლისტურად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, თუმცა ჯერ არა აქვთ შექმნილი შეფასების რუბრიკები. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით,აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას, დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრები აფასებენ როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი რუბრიკებით. მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ თემის ფარგლებში შეიმუშავონ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას, ნაცვლად ესთეტიკის კათედრისა, წარმოდგენილი აქვს სხვა საგნების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აქვს ამ მიმართულებით გამოცდილება. გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებიბის გაწერას, აქვთ გააზრებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნები და დამიშნულება, მისი მნიშვნელობა. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - მასწავლებლები მიზნობრივად იყენებდნენ შეფასების რუბრიკებს,რომლებიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს,ორიენტირი სამიზნე ცნებებია,დავალების შინაარსი შთანხმებულია მოსწავლებთან და შეფასების კრიტერიუმებსაც დავალების განხორციელების წინ აცნობენ მოსწავლეებს.სამომავლო. Ინდიკატორი 2.2.2.4 ,,**შეესაბამება**" სტანდარტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მათემატიკის კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - შეფასების სისტემა არის სანდო, იმდენად რამდენადაც კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. მაგალითად, ''მოსწავლე სწორად იყენებს გრამატიკულ საკითხებს წინადადებაში'', '' მოსწავლე წარმოთქვამს გარკვევით,ინტონაციით, პაუზის დაცვით'', ''პრეზენტაციისას მოსწავლე იცავს დროის ლიმიტს'' და ა.შ. არის ზოგიერთი კრიტერიუმი რომელიც შეიძლება სხვდასხვანაირად გაიგოს შემფასებელმა. მაგალითად, '' გრამატიკული საკითხების გამოყენებაში დაშვებულია რამდენიმე შეცდომა ''. ერთმა მასავლებელმა შესაძლოა რამდენიმე შეცდონაში მოიაზროს 3-4 შეცდომა, ხოლო მეორემ 6-7 და ა.შ. და ამდენად შეფასება პარალელურ კლასებში ვერ იქნება ვალიდური და სამართლიანი. ლარგი იქნება, რუბრიკებში დაკონკრეტდეს შეცდომების დაშვების მაქსიმალური რაოდენობა კატეგორიების მიხედვით. მაგალითად, ''რამდენიმე შეცდომა''-ის გვერდით დაიწეროს მაქსიმუმ 4 ან 5 და.შ. მასწავლებლის შეხედულებისამებრ გონივრულ ჩარჩოში. რაც შეეხება შეეხება გამჭვირვალობას, მასწავლებლების თქმით რუბრიკები გამოკრული აქვთ საკლასო ოთახში, ასევე აცნობენ წინასწარ და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არის გამჭვირვალე. თვითშეფასების კითხვარშიც ნახსენებია, რომ რუბრიკები ცნობილია მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. ზემოთ ხსენებული ხარვეზის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თითოეული თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10- ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით შეფასდებიან ისინი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებს და მისაღწევს შედეგებს. შეფასება უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას. სასკოლო შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა: სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. ხარისხის გაუმჯობესება გულისხმობს უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - თითოეული მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მმიზნებთან მიმართებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს, ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სახელმწიფო ენა -კათედრის მიერ წარმოდგენილია მე-10 კლასში განხორციელებული დავალება, შეფასების რუბრიკები, კათედრის ოქმები, შემაჯამებელი დავალებები ადასტურებს ვერიფიკაციის მექანიზმების არსებობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - უცხოური ენების შესაბამისობის გეგმაში(ე.წ. რესურსი 12) ნახსენებია რომ ისინი ამ ეტაპზე არ ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, თუმცა აღნიშნავენ რომ მომდევნო წელს იმუშავებენ ამ მიმართულებით, დახვეწავენ არსებულ მექანიზმს და წელიწადში ორჯერ (ნოემბერი-მარტი) ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს. ნამუშევრებიდან დააკვირდებიან ყოველი მესამე ან მეხუთე მოსწავლის ნამუშევარს და შეავსებენ ანგარიშის ფორმას. საბაზო საფეხურზე სკოლაში მოსწავლეთა შეფასების მონიტორინგი ხორციელდება სკოლაში არსებული მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ელექტრონჟურნალების გამოყენებით. რადგანაც სკოლა გამოთქვამს მზაობას, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს საბუნებისმეტყველო კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის დირექციასა და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს დანერგილი აქვთ ვერიფიკაციის მექანიზმი, აკვირდებიან მოსწავლეებს, აანალიზებენ ნამუშევრებს და საჭიროების შემთხვევაში იძლევიან შესაბამის რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაშია და რომლის მიხედვითაც მოსწავლეები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით ფასდებიან. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ხდება გამოყენებული რუბრიკების მოქნილობისა და საჭიროების შემთხვევაში მისი ცვლილების განსაზღვრაც. ასევე განიხილება მოსწავლეთა მიღწევების აღწერა და გაანალიზება. ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია, ხოლო სტანდარტებთან შესაბამისობას მასწავლებლები, დაკვირვების შედეგად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სახელმწიფო ენა - შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები შენახულია,როგორც ელექტრონულ ჟურნალში,ასევე მოსწავლის პირად საქმეში,სკოლის დირექცია უზრუნველყოფს და მიმართულებას აძლევს კათედრას, რომ მოსწავლეთა შემაჯამელის ანალიზი, დაკვირვების ფურცლები და სხვა მტკიცებულებეი შეინახინ სამი წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შესაბამისად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სკოლა ამ ეტაპზე არ ინახავს მონაცემებს 3 წლის ვადით, თუმცა მზაობას გამოთქვამს, უზრუნველყოს მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული ვადით. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით, 3 წლით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ სამი წლით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად. ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს მზაობა გამოითქვა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საშუალო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **სასკოლო კურიკულუმი.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სახელმწიფო ენა - კათედრა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით,საათების განაწილებისას ითვალისწინებს საათობრივ ბადეს,შეფასების წესი ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერასა და პიროვნულ განვითარებაზე,შემუშავებულია სპეციალური საჭიროების მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,სასკოლო კლიმატი ღია და მიმღებლობითია,შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - პედაგოგებთან გასაუბრებიაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს, რითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან კომფორტული გარემო და დაეხმარონ მათ ამა თუ იმ სირთულის დაძლევაში. მაგალითად, თუკი ვერ იგებს რომელიმე მოსწავლე რაიმე საკითხს, უხსნიან თავიდან. იმისათვის რომ კარგად გაართვან თავი კომპლექსურ დავალებებს, ჯერ აჩვენებენ ნიმუშებს იქნება ეს სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუში თუ სხვა დამატებითი სახით და შემდეგ სთხოვენ მისეული ვერსიის შექმნას. დახმარებას უწევენ როგორც სსმ მოსწავლეებს ისე, ტიპური განვითარების მოსწავლეებსაც. თვითშეფასების კითხვარში ნახსენებია, რომ მასწვლებლები სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი.კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე მოწოდებული დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობით გარემო. კათედრის მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან მოსწავლებლებთან და მათ მშობლებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას სასწავლო პროცესისთვის შექმნილი აქვს მიმღებლობითი და მხარდამჭერი გამო. ხაზგასმა ხდება სასკოლო კლიმატის მნიშვნელობაზე, თანამშრომლობით ურთიერთობის პრიორიტეტულობაზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის განვითარებაში. ინტერვიუს დროს ესთეტიკური აღზრდის კათეტრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ შორის ხშირად ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა და საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა, მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს, შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სახელმწიფო ენა - კოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო,მასწავლებლები იცნობენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და პრობლემებს,კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას და ერთად მსჯელობენ პრობლემის გადაჭრის გზებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - პედაგოგებთან გასაუბრებიაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს, რითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -კრიტერიუმის ინდიკატორებში აღწერილი პროცესები ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად და ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები ამაზე მეტყველებს. შერჩეული თემები, საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში,ასევე , ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორინეტირებულები არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესსზე. დანერგილია აქტივობა კრიტიკული მეგობარი, რომლითაც ურთიერთდასწრების საფუძველზე აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლაში სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლას გააზრებული აქვს დიფერენცირებული მიდგომების მნიშვნელობა, მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგი. ესთეტიკის მიმართულებით ხდება საგნობრივი სასწავლო პროექტების განხორციელება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ასევე თავისთავში მოიაზრებს, განმავითარებელ შეფასებასაც. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე, გასაუბრების შედეგად გაირკვა,რომ კათედრები მუშაობენ ერთად,მიმდინარეობს პრობლემების ანალიზი,პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუდან ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - წინა კრიტერიუმების აღწერისას ვახსენე, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება ერთობლივად. ასევე, მათ აქვთ ინტეგრირებული პროექტები (''ქალთა დღე და დედის დღე'', ''პატარა სხეულის დიდი ძალაუფლება'' და ა.შ), რაც თავისთავად მოიაზრებს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლების თანამშრომლობას სხვა კათედრის წევრებთან. ასევე, უკვე ვახსენე, რომ კათედრა მშობლებს აცნობს კომპლექსურ დავალებებს, რუბრიკებს, კურიკულუმებს და ცდილობს მათი ინტერესების გათვალისწინებას კურიკულუმების შემუშავებისას. ეს ყველაფერი არის თანამშრომლობითი კულტურის მაგალითი და შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესში ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან,მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე, ასევე კომუნიკაციაზე. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდლებას, ისახავენ მოსწავლის განვითარებაზე მიმართულ მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობის, გუნდური მუშაობისა და საკუთარ პრაქტიკაში დანერგილი გამოცდილების გაზიარების მნიშნელობა. გასაუბრებისას დადგინა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის გეგმა ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში, კურიკულუმის დანერგვის პროცესის, მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებით, სასკოლო თემის ჩართულობას, სკოლის განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სახელმწიფო ენა - სკოლააში დაცულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა უსაფრთხოება,სასკოლო საზოგადოება ზრუნავს ჯანსაღი სასკოლო კლიმატის შენარჩუნებაზე,თანამშროლებს შორის კეთილგანწყობილი და მეგობრული ატმოსფეროს ჩამოყალიბებაზე,ამ მიმართულებით მუშაობის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს სასკოლო ექსკურსიები,აქტივობები არაფორმალური კუთხით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ იყვნენ პოზიტიურები და მოსწავლეებს ჯერ დაანახონ დადებითი მხარეები და შემდეგ უთხრან გამოსასწორებელი ასპექტები. ასევე, ცდილობენ კოლეგებთანაც ქონდეთ პოზიტიური დამოკიდებულება და არსებული პრობლემები დაძლიოთ კონსტრუქციულად. ასევე, გეგმავენ სხვადასხვა სოციალური ღინისძიებებს რომლებიც ხელს უწყობენ პოზიტიური გარემოს შექმნას და ერთმანეთზე ზრუნვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო.მასწავლებლებმა, პირისპირ ინტერვიუს დროს აღნიშნეს , რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობას. ტარდება საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს, რაც დასტურდება გასაუბრებისას. პედაგოგებს გააზრებული აქვთ საკუთარი პასუხისმგებლობა და ქმნიან პოზიტიურ კლიმატს, სადაც ორიენტირება ხდება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე. კათედრის წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, ახორციელებენ პროექტებს და აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე, სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო კურიკულუმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სახელმწიფო ენა - კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად,მოსდევს მონიტორინგი,პრობლემის იდენტიფიცირებისას განისაზღვრება ინტერვენციები,გაზომვადი ინდიკატორები,პროცესის ინდიკატორები,შედეგების ინდიკატორები,ამავე დროს გადანაწილებულია პასუხისმგებლობა,საბოლოოდ კი, ანალიზის საფუძველზე შედეგების წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და კათედრის მასწავლებლების მიერ მოხდება მონაცემების დამუშავება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ მათი სკოლა ახალი ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და პირველ ეტაპზე, ისინი აქცენტს აკეთებდნენ კომპლექსური დავალებების შემუშავებასა და განხორციელებაზე და ამ ეტაპზე არ განუხორციელებიათ მონიტორინგი რაიმე მეთოლოგიის მიხედვით, თუმცა კონკრეტული დავალების განხორციელების შემდგომ ისინი აფასებდნენ მთელ პროცესს და აანალიზებდნენ რამდენად კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა კონკრეტულ დავალებას და რა უნდა გაეთვალისწინებინათ მასწავლებლებს მომდევნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მასწავლებლებმა ახსენეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აპირებენ ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას. სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებენ/დახვეწენ კურიკულუმების მონიტორინგის განხორციელების კონკრეტულ გზებს და გამოიყენებენ აქტიურად. ინტერვიუში აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება სკოლის თვითშეფასების კითხვარითაც. **-ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -სკოლა და სასკოლო თემი გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი,ხოლო შეთავაზებული 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა პირველი ინსტრუმენტი. პედაგოგებმა ერთმანეთთან შეთანხმებით დაგეგმეს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასება ჩატარდეს ქიმია , ფიზიკასა და ბიოლოგიაში ყველა კლასში წელიწადში ერთჯერ;მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნას, ასევე მოსწავლეთა შედეგების კვლევას. გამოიყენებს თვითშეფასების რუბრიკას და დიაგნოსტიკურ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრის პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალებების შერჩევას, მოსწავლეთა შედეგებს განიხილავას. ინტერვიუს დრო აღნიშნეს რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოახდენენ კურიკულუმის მონიტორინგს, რამდენად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავდა გრძელვადიანი მიზნები კომპლექსური დავალებების საშუალებით, რა დამატებითი აქტივობების განხორციელება იქნება საჭირო შედეგების გასაუმჯობესებლად. ასევე აღინიშნა რომ მოხდება მუშაობა სასკოლო კურიკულუმის სრულყოფაზე. სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება კურიკულუმის მონიტორინგის განხორციელების გზების შემუშავება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ სკოლა გეგმავს, მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სახელმწიფო ენა - აღინიშნა,რომ მონიტორინგის შედეგად განისაზღვრება,რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისაკენ.მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეფასებულია მასწავლებლის საქმიანობა,მოსწავლის სწავლის პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და კათედრის მასწავლებლების მიერ მოხდება მონაცემების დამუშავება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარში ნახსენებია, რომ სკოლაში შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მიერ აღებული უნდა იყოს არა კონტროლის არამედ მხარდაჭერის მექანიზმად, ამიტომ ისინი გეგმავენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად შექმნან როგორც მონიტორინგის, ისე შეფასებასთან დაკავშირებული საჭირო მეთოდოლოგიური ჩარჩო/ გეგმა კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით. რადგანაც სკოლა მზაობას აცხადებს გააუმჯობესოს მუშაობა ამ მიმართულებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -მასწავლებლებთან პირად საუბარში გაირკვა,რომ სკოლა და საბუნებისმეტყველო კათედრა სერიოზულად მუშაობს ამ მიმართულებით, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებს აქვთ ურთიერთდასწრების გამოცდილება. ერთმანეთს უზიარებენ პრაქტიკას, აკვირდებიან და მსჯელობენ რა გაითვალისწინონ მომავალში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლაში მომავალი სასწავლო წლიდან მოხდება მიმდინარე საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის მიზნით. გამოიკვეთება საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას ძლიერი და სუსტი მხარეები, ერთობლივად დაისახავენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. სკოლა მზაობას გამოთქვამს გააუმჯობესოს არსებული პრაქტიკა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება, რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ დანერგილ გამოცდილებას საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.**ი ნდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სახელმწიფო ენა - შეფასების პროცესის ანალიზში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოკვეთილია ხელისშემშლელი ფაქტორები,განხილულია პროცესების ეფექტურობა და მდგრადობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა – მასწავლებლებთან პირისპირ საუბარში გაირკვა, რომ გააზრებული აქვთ მოსწავლეთა შეფასებისას მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები – სკოლის თვითშეფასების კითხვარში ნახსენებია, რომ სკოლა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაითვალისწინებს, თუ რა ნაბიჯებსა და ინტერვენციებს განახორციელებენ მომავალში. ასევე, აღნიშნულია, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს შეაჯამებენ შედეგებს და ჩაატარებენ სვოტ ანალიზს. რადგანაც სკოლა მზაობას აცხადებს გააუმჯობესოს მუშაობა ამ მიმართულებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები – მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს გამოკვეთონ სკოლაში არსებული პრობლემები და დაგეგმონ მისი გადაჭრის გზები. თანამშრომლობითი ურთიერთობით კათედრის წევრები თანამშრომლობითი გზით მუშაობენ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა – სკოლა შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმებს, რაც დაეხმარება გამოკვეთოს სკოლაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. კათედრის წევრები ერთობლივი მუშაობით გამოავლენენ პრობლემის გადაჭრის გზებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი – სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების - კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების სისტემა;
- სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის თვითშეფასება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სახელმწიფო ენა სასწავლო პროცესის შეფასებისათვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან წყაროებს.ერთიანი სურათის წარმოსაჩენად გამოყენებულია რჩევა-რეკომენდაციები,სხვადასხვა ინფორმაციული რესურსი(მაგ. მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კათედრა გეგმავს შეფასება მოახდინოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას დაეყრდნობიან განმავითარებელ შეფასებას და სხვა წყაროებს. ამ წყაროებში მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, ასევე სხვადასხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტური, სტასისტიკური და სხვა ტიპის რესურსი. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფსების ფორმა (დანართი N93), სადც დეტალურადაა აღწერილი მოსწავლის მიღწევები და სუსტი მხარეები საგნების მიხედვით. ინტერვიუსას მასწვლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას ცდილობე მოსწავლე შეფასდეს სხვადასხვა საკითხებში. მაგალითად, როდესაც მას აქვს შესასრულებელი კომპლექსური დავალება, ახდენენ არა მხოლოდ ამ კონკრეტული დავალების შეფასებას, არამედ ითვალისწინებენ სხვა ასპექტებსაც, მაგალითად პრეზენტაციის უნარს, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ხარისხს, გამართულად მეტყველებას, შემოქმედებითობას, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაებზე მისი ჩართულობის ხარისხს, თანამშრომლობით უნარებს და ა.შ. ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრა გეგმავს შეფასება მოახდინოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; ამ საკითხზე მსჯელობენ და მუშაობენ კათედრის წევრები,რათა ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა დაინახოს საჭიროებები და მიღწევები კონკრეტული უნარების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყნებებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება კომპლექსურიებისა და შემაჯამებლების შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე. სამომავლოდ მოხდება მოსწავლეთა უკუკავშირის გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი -. საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში, სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სახელმწიფო ენა - შეფასებისას, სრულყოფილი ინფორმაციისათვის გათვალისწინებულია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა.(მაგ:აკადემიური მოსწრება,მოსწავლეთა ინტერესები,კლასის კლიმატი). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მათემატიკის კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რათა შეძლონ მრავალფეროვანი კონტექსტის გამოყენება, აგრეთვე მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. შეფასება წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით განხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ შეფასების სრულყოფილი ინფორმაციისთვის ისინი აკვირდებიან მოსწავლეებს სახვდასხვა კონტექსტში იქედან გამომდინარე, თუ რას დაისახავენ შეფასების მიზნად. კონკრეტული მაგალითები არაა წამოდგენილი. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ შეფასება მოხდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, როგორც წინა კრიტერიუმში ვახსენე, აფასებენ არა მხოლოდ კონკრეტულ დავალებას, არამედ ამ დვალებაზე მუშაობის პროცეს. პროცესში მოიაზრებენ რა გააკეთა მოსწავლემ გაკვეთილზე, სახლში რა დრო დაუთმო მასზე მუშაობას და რისი მოტანა შეძლო გაკვეთილისთვის, როგორ გაართვა თავი დამოუკიდებელ სამუშაოს და ა.შ. ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რათა შეძლონ მრავალფეროვანი კონტექსტის გამოყენება, აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით(ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შესაბამისად შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით განხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე მასწავლებლები ახდენენ შემაჯამებლების გაანალიზებას და შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ ინტერვენციებს. უფრო დაიხვეწება შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის წამომადგენელმა პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ ჩანაწერებს და შეფასებებს სოლოტაქონომიის დონეების მიხედვით. მომავალი სასწავლო წლისთვის მოახდენენს შეფასების რუბრიკის დახვეწას და პრაქტიკაში დანერგვას. შეფასება ხორციელდება მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში და სპორტში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ შეფასებისას,მონაცემთა შეგროვების მიზნით, იყენებენ სხვადასხვა მეთოდს,ძირითადად მიმართავენ ინტერვიუს,ფოკუს-ჯგუფს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მათემატიკის კათედრა, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, დღიურის წარმოება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, კომენტარი და სხვა. რომელთა მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესში ისინი იზრუნებენ შეფასების მაქსიმალურად ამომწურვადი და ვალიდური ინფორმაციის მიღებისთვის, რასაც მიაღწევენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. კონკრეტული მიდგომები ნახსენები და განხილული არაა. მითითებულ მტკიცებულებებში წარმოდგენილია მხოლოდ დამრიგებლის (სავარაუდოდ) მიერ შევსებული მოსწავლის დახასიათება საგნის მასწავლებლების მიერ მიწოდებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციაზე დაყრდნობით. ინტერვიუსას მასწავლებლემა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის აქტიურად იმუშავებენ ამ მიმართულებით. ამდენად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკური შეფასების მე-3 ინსტრუმენტის გამოყენებას; ასევე შექმნას და გამოიყენოს განმსაღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის ჰოლისტურად შეფასება, აქვს გამოცდილება შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს დგინდება, რომ ესთეტიკის კათედრა გამოიყენებს უკვე არსებულ განმავითარებელ შეფასებას, რომელსაც მომავალი სასწავლო წლისთვის მეტად დაამუშავებენ ამ მიმართულებით და დანერგავენ სასწავლო პროცესში, რომლის მიხედვითად დაადგენენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებმა ისაუბრეს,რომ შეფასებისს გათვალისწინებულია მოსწავლის მზაობა,სწავლის სტილი,გარემო,სწავლის პროცესზე მოქმედი ფაქტორები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მათემატიკის კათედრა, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური. შეფასება წარიმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -უცხოური ენები - სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ შეფასებისას გაითვალისწინებენ ხედვის პერსპექტივას. მათი აზრით, მულტიფაქტორული შეფასება გაუდვილებთ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციასა და გარემოებაზე დაკვირვების პროცესს. რადგან სკოლა მზაობას აცხადებს ამ მიმართულებით მუშაობის თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე შეფასება მიმართულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების გამოყენებით, მოსწავლზე დაკვირვებით, მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს დგინდება, რომ შეფასებისას მოხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალსწინება. როგორიცაა: მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასკოლო გარემო, რესურსები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც სწავლა-სწავლების პროცესზე მოახდენს დადებით გავლენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს თუ, როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასურველია მომავალშიც განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაშიც - მოხდეს ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მოსწავლეთა შეფასების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- ინდივიდუაკური სასწავლო გეგმები.
- დიფერენცირებული დავალებები.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სახელმწიფო ენა - გასაუბრების შედეგად გაირკვა,რომ კურიკულუმში ყურადღება გამახვილებულია სკოლის პრიორიტეტებზე,გამოცდილებაზე,მის ძლიერ მხარეებსა და გამოწვევებზე,დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები კათედრის წევრებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სკოლის განვითარებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - მათემატიკის კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების განვითარება, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ეს მათ აძლევს საშუალებას დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, მომავალ წელს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში სკოლა დაეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, რაც დაეხმარება მათ ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ყურადღებას გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელენენტზე. მათ მიერ შექმნილი მექანიზმი უპასუხებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება; სასწავლო პროცესის გაუმჯობესება წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით; ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვაში; პასუხისმგებლობის გადანაწილებას სასკოლო საზოგადოებაზე და ა.შ. ამდენად, სკოლას აქვს მზაობა და შეგვიძლია ვთქვათ, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე ხორციელდება კათედრების მიერ კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, სადაც ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მსჯელობისას გამოყოფენ იმ კომპლექსურ დავალებებსა და შესაბამის აქტივობებს, რომლებმაც კარგად იმუშავეს. ადგენენ საჭიროებებს და არსებულის შემთხვევაში აპირებენ მოდიფიცირებას. კურიკულუმების რევიზია გააუმჯობესებს შეფასების პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის წარმომადგენელი პედაგოგები გეგმავენ შექმნან კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა მხარდამჭერი პაკეტი, სადაც გათვალისწინებული წინება წინარე გამოცდილება. მომავალი სასწავლო წლისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააუმჯობესებენ წინარე გამოცდილებას, მოხდება ძლიერი და სუსტი ფაქტორების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით, როგორც ჩანს მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა, ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სახელმწიფო ენა - ათედრის წევრებმა აღნიშნეს,რომ მნიშვნელოვანია შეიქმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია,რომელიც დაეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას,კათედრის წევრების რეკომენდაციებს,ურთიერთშეფასებას,ასევე მნიშვნელოვანია მონიტორინგის შეფასების შედეგების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა - მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურუკულუმის განხორციელებისას მიღებულ გამოცდილებას ავსახავენ მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში საფეხურისა და კლასის დონეზე. კათედრები გაუზიარებენ ერთმანეთს მიღებულ გამოცდილებას, მოძებნიათ აღმოჩენილი პრობლემების გადაჭრის გზებს და იმუშავებენ კოორდინირებულად. რადგანაც სკოლას აქვს მზაობა, შეგვიძლია ვთქვათ, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -კათედრა გეგმავს მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების და შეფასების შედეგების გათვალისწინებით; მონიტორინგის აქტივობებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკვირდება და მონიტორინგს უწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შედგენისას კათედრის წევრები მუშაობენ კორდინირებულად, რაც დაფუძნებულია წინარე ცოდნის გამოცდილებაზე, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ მოხდება კურიკულუმის გადამუშავება წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით და შესაბამისობაში იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. კოლეგები მოახდენენ გამოცდილების გაიარებას ერთმანეთთან და დაისახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას -კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

გვ. 265

27.07.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: